




2022 წ.

საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა



ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ივნისი, 2022 წ.

სარჩევი

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები.....	1
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მიმოხილვა.....	1
„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები.....	5
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები.....	9
შემოსავლები.....	12
არაფინანსური აქტივების კლება.....	18
ფინანსური აქტივების კლება.....	19
ვალდებულებების ზრდა.....	19
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....	22
ხარტები.....	25
არაფინანსური აქტივების ზრდა.....	30
ფინანსური აქტივების ზრდა.....	31
ვალდებულებების კლება.....	32
ხარტებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.....	33
სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები.....	35
სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული მხარტავი დაწესებულებებისა და პროგრამების შესრულების მაჩვენებლები.....	36
შესრულების მაჩვენებლები მხარტავი დაწესებულებების დონეზე.....	36
შესრულების მაჩვენებლები პროგრამების დონეზე.....	38
კაპიტალური პროექტები.....	43
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.....	44
სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო.....	49
ნაშთის ცვლილება.....	49
საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო.....	50
დანართები.....	51
დანართი 1: ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა.....	51
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობები.....	53
ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელები.....	54
დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი).....	60
დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი).....	61
დანართი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი).....	62
გამოყენებული მონაცემების წყარო:.....	73

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამულ ფორმატზე გადავიდა 2012 წლიდან, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების გაერთიანებას პრიორიტეტების მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით მონაცემების ანალიზი უმთავრეს შემთხვევებში წარმოდგენილია 2012 წლიდან.


სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მიმოხილვა

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო 18,099.1 მლნ ლარით, ხოლო გადასახდელების წლიური გეგმა - 19,796.1 მლნ ლარის ოდენობით. 2021 წლის შემოსულობების შესრულებამ 18,377.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის¹ 101.5%-ს და საწყისი წლიური გეგმის (16,758.1 მლნ ლარი) 109.7%-ს უტოლდება, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 335.4 მლნ ლარით (1.9%-ით) აღემატება. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას 2021 წელს, აღნიშნულმა 19,807.5 მლნ ლარი² შეადგინა, რაც წლიური გეგმის 100.1%-ს და საწყისი წლიური გეგმის (18,384.5 მლნ ლარი) 107.7%-ს უტოლდება, ხოლო გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 22.5%-ით (3,632.9 მლნ ლარით) მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და შესრულების მაჩვენებლები.

2012-2021 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2012-2021 წლებში (მლრდ ლარი, %).

რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, წლიურ გეგმასთან მიმართებით კარგი შესრულების დონით გამოირჩევა შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის კომპონენტების მაჩვენებლები და შესაბამისად შეადგენს წლიური გეგმის 101.6%-ს და 105.2%-ს. შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების შესრულება, შესაბამისად წლიური გეგმის 60.7% და 77.8%. რაც შეეხება შემოსულობების აღნიშნული კომპონენტების შესრულებას საწყის წლიურ გეგმებთან მიმართებით, არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება საწყისი წლიური გეგმის 141.7%-ს შეადგენს, შემოსავლები - 114.1%-ს, ფინანსური აქტივების კლება - 108.9%-ს, ხოლო ვალდებულებების ზრდა - 99.5%-ს.

გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტის, ხარჯების, შესრულება წლიური გეგმის 99.8%-ს შეადგენს, დანარჩენი 3 კომპონენტის არაფინანსური აქტივების ზრდის, ფინანსური აქტივების ზრდის და ვალდებულებების კლების კომპონენტების შესრულება აჭარბებს წლიურ გეგმებს და შესაბამისად შეადგენს 100.7%-ს, 102.0%-ს და 100.8%-ს. წლიური გეგმის მსგავსად, დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებითაც კარგი შესრულების დონით გამოირჩევა ხარჯები - 99.7%, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტების შესრულება აჭარბებს, ასევე, დაზუსტებულ წლიურ გეგმებს (შესაბამისად 101.2% და 108.8%), ხოლო ვალდებულებების კლების კომპონენტის შესრულება დაზუსტებული გეგმის 100.0%-ს შეადგენს. რაც შეეხება

¹ 2020 წლის დეკემბერში დამტკიცებულ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, 2021 წლის განმავლობაში, განხორციელდა 2 ცვლილება 2021 წლის ივლისში და დეკემბერში. წარმოდგენილ დოკუმენტში 2021 წლის საწყისი წლიური გეგმა გულისხმობს 2020 წლის დეკემბერში დამტკიცებული 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლებს, ხოლო წლიური გეგმა - 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის 2021 წლის დეკემბრის (საბოლოო) ცვლილების გათვალისწინებით განსაზღვრულ გეგმიურ მაჩვენებლებს.


² გადასახდელების და მისი ცალკეული კომპონენტების ფაქტობრივი შესრულების გადაჭარბება გეგმასთან მიმართებით გამოწვეულია გრანტების და კრედიტების ფარგლებში საინვესტიციო პირდაპირი ჩარიცხვებით და მიზნობრივი გრანტის მხოლოდ შესრულების მაჩვენებლებში ასახვით.

გადასახდელების კომპონენტების შესრულებას საწყის წლიურ გეგმებთან მიმართებით, ამ შემთხვევაში ხარჯების შესრულება მისი საწყისი წლიური გეგმის 111.3%-ს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდა - 105.3%-ს, ვალდებულებების კლება - 97.7%-ს და ფინანსური აქტივების ზრდა - 80.3%-ს.

	2021 საწყისი გეგმა	2021 წლიური გეგმა	2021 დაბუსტ. გეგმა	2021 ფაქტი	% საწყისი გეგმასთან	% წლიურ გეგმასთან	% დაბუსტ. გეგმასთან
შემოსულობები	16,758.1	18,099.1	18,099.1	18,377.7	109.7%	101.5%	101.5%
შემოსავლები	11,179.2	12,549.0	12,549.0	12,750.3	114.1%	101.6%	101.6%
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	350.0	350.0	212.6	141.7%	60.7%	60.7%
ფინანსური აქტივების კლება	150.0	210.0	210.0	163.3	108.9%	77.8%	77.8%
ვალდებულებების ზრდა	5,278.9	4,990.1	4,990.1	5,251.5	99.5%	105.2%	105.2%
გადასახდელები	18,384.5	19,796.1	19,796.1	19,807.5	107.7%	100.1%	100.1%
ხარჯები	12,758.3	14,232.1	14,241.2	14,197.9	111.3%	99.8%	99.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,416.9	2,525.7	2,514.7	2,544.2	105.3%	100.7%	101.2%
ფინანსური აქტივების ზრდა	402.7	316.8	297.1	323.2	80.3%	102.0%	108.8%
ვალდებულებების კლება	2,806.6	2,721.6	2,743.1	2,742.3	97.7%	100.8%	100.0%
ნაშთის ცვლილება	-1,626.4	-1,697.0	-1,697.0	-1,429.8			

ცხრილი 1: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მიმოხილვა, რაზეც 2021 წელს მიღებული შემოსავლების 89.7%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 62.2% მოდის. 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 11,439.5 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის (11,362.6 მლნ ლარი) 100.7%-ს და საწყისი გეგმის (10,342.3 მლნ ლარი) 110.6%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტში, 2021 წელს, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები თვეებით მიხედვით.




■ საშემოსავლო გადასახადი ■ მოგების გადასახადი ■ დღგ ■ აქციზი ■ იმპორტის გადასახადი ■ სხვა გადასახადები

დიაგრამა 2: 2021 წელს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი თვეების მიხედვით (მლნ ლარი).


როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან შემოსავალი ყველაზე დიდი ოდენობით (1,240.2 მლნ ლარი) 2021 წლის დეკემბერში მიიღო, ხოლო ყველაზე მცირე ოდენობით - ივნისში (759.0 მლნ ლარი), საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი კი 953.3 მლნ ლარს შეადგენდა. რაც შეეხება გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურას, დიდი წილი მოდის დღგ-ს და საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებულ შემოსავლებზე, რაც წლიურად შეადგენს შესაბამისად 4,883.9 მლნ ლარს და 3,491.5 მლნ ლარს, 2021 წელს გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების 42.7%-ს და 30.5%-ს.

2021 გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა



რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი 2021 წელს გაწეული მთლიანი გადასახდელების 71.7%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები თვეების მიხედვით.


2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები თვეების მიხედვით



დიაგრამა 4: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი).

2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი ოდენობით ხარჯები გაიწია დეკემბერში (1,868.6 მლნ ლარი), ხოლო ყველაზე მცირე ოდენობით - თებერვალში (977.5 მლნ ლარი), ხარჯების ყოველთვიური საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 1,183.2 მლნ ლარს. რაც შეეხება ხარჯების სტრუქტურას ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ყველაზე დიდი წილი მოდის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლზე, რომელიც 2021 წელს გაწეული ხარჯების 42.8%-ს (6,082.6 მლნ ლარი) შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“, „საქონელი და მომსახურების“ და „სხვა ხარჯების“ მუხლებზე მოდის მთლიანი ხარჯების შესაბამისად 11.7%, 12.7% და 14.5%, რაც ნომინალურ გამოსახულებაში 1,654.8 მლნ ლარს, 1,800.1 მლნ ლარს და 2,059.8 მლნ ლარს უტოლდება.


2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა



დიაგრამა 5: 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა (მლნ ლარი)

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ³ შეადგინა -1,447.6 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ⁴ -3,779.2 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021 წლის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო თვეების მიხედვით.

2021 წლის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო თვეების მიხედვით




დიაგრამა 6: 2021 წლის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო თვეების მიხედვით (მლნ ლარი).

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2021 წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 2,311.4 მლნ ლარი. წლის განმავლობაში მიღებული შემოსულობების და განხული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის გამოყენებამ შეადგინა 1,429.8 მლნ ლარი და შესაბამისად, 2021 წლის ბოლოსათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთის მოცულობამ შეადგინა 881.5 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2021 წლის თვეების მიხედვით.

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თვეების მიხედვით



დიაგრამა 7: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თვეების მიხედვით (მლნ ლარი).

³ საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.

⁴ მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვირგვინებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები

2020 წლის დეკემბერში პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართის - ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (საბაზო სცენარი) - მიხედვით, საქართველოს მთავრობის (შემდგომში - მთავრობა) მიერ პროგნოზირებული 2021 წლის მშპ-ის რეალური ზრდა 4.3%-ს შეადგენდა. ამავე პერიოდში, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის (შემდგომში - საბიუჯეტო ოფისი) მიერ გამოქვეყნებული პროგნოზის მიხედვით კი 2021 წლის მშპ-ის რეალური ზრდა 5.2%-ით განისაზღვრა.

2021 წლის დეკემბერში ცვლილება შევიდა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული ცვლილების თანმდევი დოკუმენტის - ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (საბაზო სცენარი) - მიხედვით, 2021 წლის მშპ-ის პროგნოზირებულმა რეალურმა ზრდამ 10.0% შეადგინა, ხოლო ამავე პერიოდში საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით აღნიშნული მაჩვენებელი 10.4%-ით განისაზღვრა.

2021 წელს მშპ-ის რეალურმა ზრდამ 10.4% შეადგინა⁵, რომელიც 0.4 პროცენტული პუნქტით აღემატება მთავრობის 2021 წლის დეკემბრის პროგნოზს (10.0%) და ემთხვევა საბიუჯეტო ოფისის იმავე პერიოდის პროგნოზს (10.4%). 2021 წელს მშპ ნომინალურ გამოსახულებაში 60,231.6 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 16,154.1 ლარს (5,015.3 აშშ დოლარი) შეადგენს.

2021 წლის მონაცემებით ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ხელოვნება, გართობა და დასვენება (43.1%), წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები (38.9%), ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება (33.5%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (29.8%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (28.7%), ტრანსპორტი და დასაწყობება (27.6%), ინფორმაცია და კომუნიკაცია (23.9%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (23.5%). ხოლო კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (21.8%), განათლება (2.3%), სოფლის მეურნეობა (1.4%).

მშპ-ის დარგობრივ ჭრილში ანალიზიდან ვლინდება, რომ ეკონომიკის ზრდაზე, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, სახელმწიფო მმართველობის, განათლების და სუბსიდიების გარდა, ყველა დარგმა დადებითი გავლენა იქონია. 2021 წლის II კვარტლიდან კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივმა შემსუბუქება/გაუქმებამ და აღნიშნულის ფონზე როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ზრდამ, აგრეთვე ვაქცინაციის პროცესმა და საგარეო ვაჭრობის ტემპის ზრდამ ეკონომიკური საქმიანობის გამოცოცხლება გამოიწვია, რაც დადებითად აისახა ეკონომიკურ ზრდაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჭრობის (2.58 პროცენტული პუნქტი - პპ), მრეწველობის (1.96 პპ), ტრანსპორტის (1.48 პპ), ხელოვნება, გართობა და დასვენების (1.15 პპ), ჯანდაცვის (1.11 პპ) და საფინანსო საქმიანობის (1.04 პპ) წვლილი.

რაც შეეხება მშპ-ის ანალიზს დანახარჯების მიხედვით, 2021 წლის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, რეალური მშპ-ის 10.4%-იან ზრდაში წმინდა მოხმარების დადებითი წვლილი 8.9 პპ-ს აღწევს, ინვესტიციებმა უარყოფითი 3.1 პპ-იანი წვლილი შეიტანეს, ხოლო წმინდა ექსპორტის დადებითმა წვლილმა 4.5 პპ შეადგინა.

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე

⁵ დეტალურად იხილეთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დოკუმენტი „საქართველოს 2021 წლის მაკროეკონომიკური გარემო“ http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/2021_7.pdf

მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ს შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი⁶.

საბიუჯეტო ოფისის მიერ პოტენციური მშპ-ის შეფასების საფუძველზე ჩანს, 2016 წლიდან უარყოფითი მშპ-ის გაპი არსებითი გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს, მაგრამ 2020 წელს COVID-19-ით გამოწვეულმა პრობლემებმა უარყოფითად იმოქმედა მშპ-ის გაპზეც და იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2020 წელს ეკონომიკის აქტივობა 4.8%-ით ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ეკონომიკური ზრდის შედეგად მშპ-ის პოტენციური დონიდან გადახრა მნიშვნელოვნად შემცირდა, კერძოდ, 2021 წელს ეკონომიკის აქტივობა 0.7%-ით ჩამორჩებოდა მის პოტენციურ დონეს.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით⁷ დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის⁸ დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება – არაუმეტეს 3 პროცენტისა (ე.წ. ბალანსის/დეფიციტის წესი);
- საქართველოს მთავრობის ვალის⁹ მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება – არაუმეტეს 60 პროცენტისა (ე.წ. ვალის წესი).

ზემოაღნიშნული ორგანული კანონის მიხედვით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობების მიღმა დაგეგმვა ან/და დაგეგმილი პარამეტრების შესრულება შესაძლებელია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების და აღნიშნული მდგომარეობის შედეგად დამდგარი ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში;

ბ) ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესიის შემთხვევაში – თუ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ზედიზედ ბოლო 2 კვარტალის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის კვარტალებთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე გასული 10 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

2021 წლის დეკემბერში „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, აღნიშნული კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, 2021 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო, ზემოაღნიშნული ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრის (დეფიციტის წესი) მიღმა – 3,928.0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც პროგნოზირებული მშპ-ის 6.7%-ს შეადგენს.

რაც შეეხება ფაქტობრივ შესრულებას, 2021 წელს მშპ ნომინალურ გამოსახულებაში 60,231.6 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 3,708.3 მლნ ლარი - მშპ-ის 6.2% შეადგინა, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

⁶ თუ ფაქტობრივი მშპ აღემატება მის პოტენციურ დონეს, მაშინ სახეზე გვაქვს მშპ-ის დადებითი გაპი (ინფლაციური გაპი), ხოლო თუ ფაქტობრივი მშპ პოტენციურს ჩამორჩება, მაშინ ქვეყანაში მშპ-ის უარყოფითი გაპია, რასაც ხშირად რეცესიულ გაპსაც უწოდებენ; დამატებით, მშპ-ის გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>

⁷ მუხლი 2. მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დადგენა


⁸ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი არის ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი

⁹ აღნიშნული მიზნებისთვის საქართველოს მთავრობის ვალი მოიცავს: ა) „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა; ბ) საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა. აღნიშნული ზღვარი ითვალისწინებს, აგრეთვე „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპებისა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას.

საქართველოს კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრულ მაჩვენებელთან (მშპ-ის 6.7%) შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით ნაკლები.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ორგანული კანონით დადგენილი ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი, არსებული რედაქციით, მოქმედებს 2019 წლიდან, ხოლო 2019 წლამდე დეფიციტის წესი განისაზღვრებოდა, როგორც ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის (უარყოფითი მთლიანი სალდო) ფარდობა მშპ-თან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2021 წლებში საქართველოს ერთიანი ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.



დიაგრამა 8: სახელმწიფოს ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2021 წლებში (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების მეორე მაქსიმალურ ზღვარს (ე.წ. ვალის წესი), 2021 წლის დეკემბერში „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ზემოაღნიშნული კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, 2021 წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა განისაზღვრა მშპ-ის 51.1%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) – მშპ-ის 0.6%-ით – ჯამი: მშპ-ის 51.7%.

ფაქტიური მდგომარეობით კი მთავრობის ვალის ნაშთმა 2021 წლის 31 დეკემბრისათვის 29,811.9 მლნ ლარი, მშპ-ის 49.5% შეადგინა. საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) 395.4 მლნ ლარს შეადგენს (მშპ-ის 0.7%), შესაბამისად ჯამურად აღნიშნული ვალდებულებები მშპ-ის 50.2%-ია (დადგენილი ზღვარი - არაუმეტეს 60%).

განსხვავებით ე.წ. დეფიციტის წესისა, 2021 წლისთვის არ დარღვეულა ე.წ. ვალის წესით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრის ზღვარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთავრობის ვალის ნაშთიდან „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალი, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა - 29,765.5 მლნ ლარს და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ნაშთი - 46.4 მლნ ლარს შეადგენს.

ამასთან, მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი, 23,966.7 მლნ ლარი, მთლიანი მთავრობის ვალის 80.4%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის 54% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან.

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი	23,966.7
მრავალმხრივი კრედიტორებისგან	17,277.9
ორმხრივი კრედიტორებისგან	5,135.6
სხვა საგარეო ვალდებულებები	1,548.8
სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები	4.4
მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი	5,845.2
სულ მთავრობის ვალის ნაშთი	29,811.9


ცხრილი 2: მთავრობის ვალის ნაშთის სტრუქტურა 31.12.2021 მდგომარეობით (მლნ ლარი)

მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი, 5,845.2 მლნ ლარი, მთავრობის ვალის 19.6%-ს შეადგენს. აქედან 5,486.0 მლნ ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, 312.8 მლნ ლარი - „ობლიგაცია სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ნაშთი - 46.4 მლნ ლარი.

ამასთან, ზემოაღნიშნული ორგანული კანონით დადგენილი ე.წ. ვალის წესი არსებული რედაქციით, მოქმედებს 2019 წლიდან, ხოლო 2019 წლამდე ის განისაზღვრებოდა, როგორც სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ვალისა და მთავრობის ვალის მოცულობა და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში¹⁰.

მთავრობის ვალი, სახელმწიფო ვალი და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში



დიაგრამა 9: მთავრობის ვალი, სახელმწიფო ვალი და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %).


¹⁰ დიაგრამაში წარმოდგენილი ინფორმაცია არ მოიცავს ე.წ. „ისტორიულ ვალს“.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო 18,099.1 მლნ ლარით, ხოლო შესრულების ჯამურმა მაჩვენებელმა 18,377.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 101.5%-ს და საწყისი წლიური გეგმის (16,758.1 მლნ ლარი) 109.7%-ს უტოლდება, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 335.4 მლნ ლარით (1.9%-ით) აღემატება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ნომინალური მაჩვენებელი ხასიათდება ყოველწლიური ზრდის ტენდენციით (გარდა 2013 წლისა) და ზრდის ტემპის მაჩვენებელთა ცვალებადობით გამოირჩევა. 2013-2021 წლებისთვის შემოსულობების საშუალო ზრდის ტემპი 10.2%-ს შეადგენს, 2021 წლისათვის კი აღნიშნული მაჩვენებელი (გარდა 2013 წლის მაჩვენებლისა) ყველაზე დაბალ ნიშნულს (1.9%-ს) აღწევს, რაზეც გავლენას ახდენს 2020 წელს ვალდებულებების ზრდის კომპონენტის მნიშვნელოვანი ზრდა (COVID-19-ით გამოწვეული მსოფლიო პანდემიის უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, საგარეო დაფინანსების წყაროდან დამატებითი რესურსების მოზიდვიდან გამომდინარე).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მაჩვენებელთა %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით 2013-2021 წლებში



დიაგრამა 10: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მაჩვენებელთა %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით 2013-2021 წლებში.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებას კომპონენტების დონეზე: წლიურ გეგმასთან მიმართებაში, შემოსავლები და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები გადაჭარბებით იქნა მიღებული, ხოლო არაფინანსური აქტივებით და ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული შემოსულობები ხასიათდება მნიშვნელოვანი (შესაბამისად, 39.3%-იანი და 22.2%-იანი) უარყოფითი გადახრით. შემოსულობების კომპონენტების შესრულება წლიური გეგმის 60.7% - 105.2%-ის ინტერვალშია.

	2020 ფაქტი	2021 საწყისი გეგმა	2021 წლიური გეგმა	2021 ფაქტი	2021 ფაქტი / 2021 წლიური გეგმა		2021 ფაქტი / საწყისი გეგმასთან მიმართებით	2021 ფაქტი / 2020 ფაქტი	
					სხვაობა	%		სხვაობა	%-ული ცვლილება
სულ შემოსულობები	18,042.3	16,758.1	18,099.1	18,377.7	278.5	101.5%	109.7%	335.4	1.9%
შემოსავლები	10,490.4	11,179.2	12,549.0	12,750.3	201.2	101.6%	114.1%	2,259.9	21.5%
გადასახადები	9,364.8	10,342.3	11,362.6	11,439.5	76.9	100.7%	110.6%	2,074.7	22.2%
გრანტები	459.6	286.9	386.4	487.1	100.7	126.0%	169.8%	27.6	6.0%
სხვა შემოსავლები	666.0	550.0	800.0	823.7	23.7	103.0%	149.8%	157.6	23.7%
არაფინანსური აქტივების კლება	98.2	150.0	350.0	212.6	-137.4	60.7%	141.7%	114.4	116.6%
ფინანსური აქტივების კლება	163.4	150.0	210.0	163.3	-46.7	77.8%	108.9%	-0.1	0.05%
ვალდებულებების ზრდა	7,290.4	5,278.9	4,990.1	5,251.5	261.5	105.2%	99.5%	-2,038.9	-28.0%
საგარეო	5,264.3	5,278.9	5,290.1	5,558.0	267.9	105.1%	105.3%	293.7	5.6%
საშინაო	2,026.1	0.0	-300.0	-306.5	-6.5	102.2%		-2,332.6	-115.1%

ცხრილი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2020-2021 წლებში (მლნ ლარი, %).


შემოსულობების კომპონენტების შესრულების განსხვავებული მაჩვენებლები ფიქსირდება საწყისი გეგმის მიმართ (რომელიც 2020 წლის დეკემბერში დამტკიცდა): ყველა ძირითადი სახის შემოსულობა (შემოსავლები, ფინანსური აქტივებით და არაფინანსური აქტივებით

ოპერაციებიდან მიღებული შემოსულობები), გარდა ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებისა, გადაჭარბებით იქნა მიღებული (მ.შ. მნიშვნელოვანი, 41.7%-იანი დადებითი გადახრით გამოირჩევა არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობები). რაც შეეხება ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებს, აღნიშნული კომპონენტი ხასიათდება მცირედი, 0.5%-იანი უაყოფითი გადახრით, რაც დაკავშირებულია საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდის მარჯვენა მხარის შემცირებასთან: საწყისი გეგმით აღნიშნული მარჯვენა მხარის დაგეგმილი არ იყო (საბოლოო გეგმით გათვალისწინებულ იქნა საშინაო ვალდებულებების შემცირება 300.0 მლნ ლარით), ფაქტობრივად კი საშინაო ვალდებულებების ზრდის მარჯვენა მხარე -306.5 მლნ ლარი შეადგინა.

წინა წელთან მიმართებით, შემოსულობების ჯამური მარჯვენა მხარე გაზრდილია 335.4 მლნ ლარით. აღნიშნული 1.9%-იანი მატება დაკავშირებულია, ერთი მხრივ, შემოსავლების 21.5%-იან (2,259.9 მლნ ლარით) ზრდასთან და მეორე მხრივ, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების 28.0%-იან (2,038.9 მლნ ლარით) კლებასთან (სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებული წმინდა შემოსულობის 2,332.6 მლნ ლარით შემცირების გავლენით). მნიშვნელოვანი (116.6% -იანი) ზრდის მარჯვენა მხარე აქვს არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებულ შემოსულობებს, ხოლო ფინანსური აქტივების კლებით შემოსულობები თითქმის უტოლდება (0.1 მლნ ლარით ნაკლებია) 2020 წლის შესაბამის მარჯვენა მხარეს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2012-2021 წლებში შემადგენელი კომპონენტების მიხედვით:

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა 2012-2021 წლებში




დიაგრამა 11: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რაც გამოწვეულია მისი ძირითადი კომპონენტების - შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მნიშვნელოვანი მატებით. 2013-2021 წლებისთვის ვალდებულებების ზრდით შემოსულობების საშუალო ზრდის ტემპი (37.9%) გაცილებით მაღალია შემოსავლების ანალოგიურ მარჯვენა მხარესთან (7.0%) შედარებით, თუმცა 2021 წელს წინა წელთან შედარებით ვალდებულებების ზრდით შემოსულობები შემცირებულია 28.0%-ით (2020 წელს COVID-19 პანდემიის შედეგად საბიუჯეტო დეფიციტის გაზრდილი დაფინანსებიდან გამომდინარე აღნიშნული შემოსულობების ზრდის მარჯვენა მხარე შეადგენდა 212.2%-ს), ხოლო შემოსავლები გაზრდილია 21.5%-ით, რაც შესაბამისად აისახება მთლიანი შემოსულობების სტრუქტურაზეც: 2021 წელს წინა წელთან შედარებით შემოსავლების წილი მთლიან შემოსულობებში გაზრდილია 58.1%-დან 69.4%-მდე, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების წილი შემცირებულია 40.4%-დან 28.6%-მდე.

შემოსულობებში 4 ძირითადი კომპონენტის პროცენტული განაწილების საჩვენებლად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების კომპონენტების პროცენტული განაწილება:

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურის დინამიკა 2012-2021 წლებში




დიაგრამა 12: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურის დინამიკა 2012-2021 წლებში (%).

2021 წლის შემოსულობების მიმოხილვისას საინტერესოა შემოსულობების შესრულება თვეების მიხედვით. შემოსულობების შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა დეკემბერსა (2,782.6 მლნ ლარი) და აპრილში (2,690.5 მლნ ლარი), ხოლო ყველაზე მცირე - ივლისში (894.1 მლნ ლარი) და მაისში (947.2 მლნ ლარი). უფრო კონკრეტულად, წლიურ ჯამურ მაჩვენებელთან მიმართებით, დეკემბერსა და აპრილში მოხილვდა წლიურად მიღებული შემოსულობების შესაბამისად, 15.1% და 14.6% (საშუალოდ, 14.9%), მაისსა და ივლისში კი - შესაბამისად, 5.2% და 4.9% (საშუალოდ, 5.0%), დანარჩენი 8 თვის საშუალო მაჩვენებელმა კი 7.5% შეადგინა. აპრილში შემოსულობების შესრულების მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია აღნიშნულ თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებთან, რომლის სახითაც ბიუჯეტში აისახა ამ მიმართულებით წლიურად მიღებული თანხის 35.2%, ხოლო დეკემბერში შემოსულობების ყველა კომპონენტი ხასიათდება წლიური გეგმასთან მიმართებით მაღალი შესრულებით (ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები - წლიური ფაქტობრივი მაჩვენებლის 22.6%, ფინანსური და არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები - შესაბამისად, 32.2% და 23.0%, ხოლო შემოსავლები - 11.7%). 2021 წლის ივლისში შემოსულობების დაბალი შესრულება დაკავშირებულია, ძირითადად, აღნიშნულ თვეში საშინაო ვალის დასაფარავად საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით წმინდა შემოსულობის 324.5 მლნ ლარით შემცირებასთან.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები თვეების მიხედვით.

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები თვეების მიხედვით



დიაგრამა 13: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსავლები

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა განსაზღვრული იყო 12,549.0 მლნ ლარით, ხოლო შესრულებამ 12,750.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 101.6%-ს შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელს 2,259.9 მლნ ლარით (21.5%-ით) აღემატება (ძირითადად გადასახადების მნიშვნელოვანი მატების გავლენით). შემოსავლების ცალკეული კომპონენტებიდან:

▪ საგადასახადო შემოსავლების სახით (რომლის ხარჯზეც განხორციელდა შემოსავლების 89.7%-ის ფორმირება) 2021 წლის განმავლობაში მოხილბებულია 11,439.5 მლნ ლარი, წლიური გეგმის (11,362.6 მლნ ლარი) 100.7%, რაც წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელს მნიშვნელოვნად, 2,074.7 მლნ ლარით (22.2%-ით) აღემატება.

	2020 ფაქტი	2021 საწყისი გეგმა	2021 წლიური გეგმა	2021 ფაქტი	2021 ფაქტი / 2021 წლიური გეგმა		2021 ფაქტი საწყის გეგმასთან მიმართებით	2021 ფაქტი / 2020 ფაქტი	
					სხვაობა	%		სხვაობა	%-ული ცვლილება
საგადასახადო შემოსავლები	9,364.8	10,342.3	11,362.6	11,439.5	76.9	100.7%	110.6%	2,074.7	22.2%
საშემოსავლო გადასახადი	3,079.8	3,315.0	3,500.0	3,491.5	-8.5	99.8%	105.3%	411.7	13.4%
მოგების გადასახადი	919.4	951.0	1,001.0	1,015.3	14.3	101.4%	106.8%	95.9	10.4%
დღგ	3,918.2	4,347.3	4,807.4	4,883.9	76.6	101.6%	112.3%	965.8	24.6%
აქციზი	1,619.4	1,582.0	1,825.0	1,868.8	43.8	102.4%	118.1%	249.4	15.4%
იმპორტის გადასახადი	74.4	77.0	81.3	86.4	5.1	106.3%	112.2%	12.0	16.1%
სხვა გადასახადები	-246.4	70.0	148.0	93.6	-54.4	63.2%	133.7%	340.0	-138.0%

ცხრილი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2020-2021 წლებში (მლნ ლარი, %).

საგადასახადო შემოსავლების საწყისი წლიური გეგმა შეადგენდა 10,342.3 მლნ ლარს, თუმცა წლის განმავლობაში დაგეგმილთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდისა¹¹ და გადასახადების ფაქტობრივი მოხილბების გათვალისწინებით, 2021 წლის განმავლობაში ორჯერ გადაიხედა ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმის მარჯვენებლები, ბიუჯეტის საბოლოო გეგმით გადასახადების საგეგმო მარჯვენებელი გაიზარდა 1,020.3 მლნ ლარით (11,362.6 მლნ ლარამდე).

წლიური (საბოლოო) გეგმის მარჯვენებლებთან მიმართებით, თითქმის ყველა გადასახადი (გარდა სხვა გადასახადისა) შესრულების კარგი მარჯვენებლებით ხასიათდება, რომელთა შესრულება წლიური გეგმის 99.8%-106.3%-ის ინტერვალშია. რაც შეეხება სხვა გადასახადს, ამ მიმართულებით გამოვლინდა 36.8%-იანი უარყოფითი გადახრა, რაც ძირითადად უკავშირდება ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების მარჯვენებელს¹², რომლის სახით 2021 წელს ჯამურად დაბრუნებულ იქნა ზედმეტად გადახდილი გადასახადები (დღგ) 1,930.1 მლნ ლარის ოდენობით (2020 წელს 1,040.0 მლნ ლარს შეადგენდა). აღსანიშნავია, აგრეთვე, საგადასახადო შეღავათები საშემოსავლო გადასახადში¹³, რომლის მოცულობამ, მთავრობის ანგარიშის მიხედვით, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 250.0 მლნ ლარი შეადგინა.


¹¹ ეკონომიკური პარამეტრები რადიკალურად შეიცვალა აპრილიდან, რა დროსაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტ-იმპორტის, დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვების, საფინანსო სექტორის ზრდის, წმინდა ფულადი გზავნილების და სხვა ეკონომიკური მარჯვენებლები (ეკონომიკურმა ზრდამ აპრილში 44.8% შეადგინა, მაღალი ეკონომიკური მარჯვენებლები შენარჩუნდა მაისშიც).

¹² 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემის რეფორმის საფუძველზე, სხვა გადასახადების მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე. შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

¹³ საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში დამქირავებელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება.

რაც შეეხება 2020 წლის მარვენებლებთან მიმართებას, გადასახადების მოცულობა გაზრდილია 2,074.7 მლნ ლარით (22.2%-ით). შემოსავალი ყველა სახის გადასახადიდან მომატებულია, თუმცა აღნიშნული ზრდა ძირითადად უკავშირდება დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადის მატებას. კერძოდ, დღგ-ს სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა წინა წელთან შედარებით 965.8 მლნ ლარით მეტი¹⁴ (4,883.9 მლნ ლარი), მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და განუვლი მომსახურებიდან - 182.4 მლნ ლარით და იმპორტირებული პროდუქციიდან (რომელიც დღგ-ს ჯამური სიდიდის 71.9%-ს შეადგენს) - 783.4 მლნ ლარით მეტი. საშემოსავლო გადასახადის 411.7 მილიონიან ზრდაზე კი (მ.შ. დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 373.4 მლნ ლარით) დიდწილად გავლენა მოახდინა 2021 წლის ივნისის თვიდან საშემოსავლო გადასახადზე არსებული საგადასახადო შეღავათის დასრულებამ. წინა წელთან შედარებით გაზრდილია, აგრეთვე, იმპორტის გადასახადი - 16.1%-ით, მოგების გადასახადი - 10.4%-ით, განსაკუთრებით კი, აქციზის გადასახადი: კერძოდ, აქციზის გადასახადის სახით მიღებულია 249.4 მლნ ლარით (15.4%-ით) მეტი, რაც ძირითადად განპირობებულია იმპორტული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის (94.1 მლნ ლარით) 12.8%-იანი და აგრეთვე, იმპორტული ბენზინისა და დიზელის დაბეგვრიდან აქციზის (61.4 მლნ ლარით) 13.5%-იანი ზრდით).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2012-2021 წლებში



დიაგრამა 14: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას საინტერესოა, განხილულ იქნას **ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები**. ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა საწყისი წლიური გეგმის თანდართული პროგნოზით შეადგენდა 12,045.0 მლნ ლარს, ხოლო, საქართველოს მთავრობის მიერ განახლებული პროგნოზით (რომელიც წარმოდგენილი იყო 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დეკემბრის ცვლილებასთან ერთად) ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მარვენებელი 13,271.0 მლნ ლარით განისაზღვრა. საბიუჯეტო ოფისის მიერ 2020 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული პროგნოზის მიხედვით, 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 12,183 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დეკემბრის ცვლილებით წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით აღნიშნული პროგნოზი დაკორექტირდა და 13,289 მლნ ლარამდე გაიზარდა.

რაც შეეხება შესრულებას, 2021 წელს მობილიზებული ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივი მარვენებელი 13,380.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც მთავრობის თავდაპირველი პროგნოზის 111.1%-ს და განახლებული პროგნოზის 100.8%-ს წარმოადგენს, ხოლო საბიუჯეტო ოფისის თავდაპირველი პროგნოზის 109.8%-ს და განახლებული პროგნოზის 100.7%-ს შეადგენს.


¹⁴ უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად დღგ-ს სახით მობილიზებულ იქნა გასულ წელთან შედარებით 1,192.3 მლნ ლარით მეტი, 6,029.5 მლნ ლარი, რომლის 19%, 1,145.6 მლნ ლარის ოდენობით, მიმართულ იქნა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში.

	მთავრობის პროგრამები	საბიუჯეტო ოფისის პროგრამები	2021 ფაქტი	2021 ფაქტი/ მთავრობის პროგრამები	2021 ფაქტი/ საბიუჯეტო ოფისის პროგრამები
საგადასახადო შემოსავლები	13,271	13,289	13,380	100.8%	100.7%
არაპირდაპირი გადასახადები	7,734	8,080	7,985	103.2%	98.8%
პირდაპირი გადასახადები	5,537	5,209	5,395	97.4%	103.6%

ცხრილი 5: ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2021 წელს (მლნ ლარი, %).

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2012-2021 წლებში ბრდადი ტენდენციით ხასიათდება (გარდა 2013 და 2020 წლისა). 2021 წლის ფაქტობრივი მაჩვენებელი 2020 წლის მონაცემს 22.0%-ით (2,415.5 მლნ ლარით) აღემატება, 2013-2021 წლებში კი საგადასახადო შემოსავლების საშუალო ზრდის ტემპი 8.3%-ს შეადგენს. რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შეფარდებას მთლიან შიდა პროდუქტთან, 2012-2021 წლებში ყველაზე დაბალი ნიშნული (22.2%) სწორედ 2021 წელს ფიქსირდება (მშპ-ს მნიშვნელოვანი ზრდის გავლენით), თუმცა იგი თითქმის უთანაბრდება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (22.3%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში.




დიაგრამა 15: ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას საინტერესოა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან¹⁵ მიღებული შემოსავლების ანალიზი. 2021 წელს მიღებული საგადასახადო შემოსავლის 59.7% (7,984.7 მლნ ლარი) მოდის არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლებზე, ხოლო 40.3% (5,395.3 მლნ ლარი) - პირდაპირი გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები 2012-2021 წლებში.

¹⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით არაპირდაპირი გადასახადი არის გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი), რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და განვლილი მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას).

ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები 2012-2021 წლებში



დიაგრამა 16: ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, გაზრდილია როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, თუმცა მათი პროცენტული განაწილება თითქმის უცვლელია.

რაც შეეხება პროცენტულ განაწილებას გასულ წლებში, 2012-2016 წლებში პირდაპირი გადასახადები ზრდის ტენდენციით, ხოლო არაპირდაპირი გადასახადები კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, 2016 წელს კი ორივე სახის გადასახადი თითქმის თანაბრად ნაწილდება საგადასახადო შემოსავლებში (არაპირდაპირი გადასახადები - 50.4%; პირდაპირი გადასახადები - 49.6%), 2017-2021 წლებში კი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების სტრუქტურა საპირისპირო ტენდენციით იცვლება.


■ **გრანტების** მარჯვენაელი გეგმასთან მიმართებით შესრულების შედარებით მაღალი დონით ხასიათდება: გრანტების საწყისი წლიური გეგმური სიდიდე შეადგენდა 286.9 მლნ ლარს, ხოლო საბოლოო გეგმით აღნიშნული მარჯვენაელი განისაზღვრა 386.4 მლნ ლარით. ფაქტობრივად, გრანტების სახით ბიუჯეტში მიღებულ იქნა 487.1 მლნ ლარი, წლიური გეგმით გათვალისწინებული მარჯვენაელის 126.0%. აღნიშნული მეტობა დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების გადაჭარბებით შესრულებასთან (წლიური გეგმის 102.4%) და აგრეთვე, ბიუჯეტში ასახულ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან (115.7 მლნ ლარი), რომელიც გამოყოფილია დონორების მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებზე (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). შესრულების დაბალი დონით ხასიათდება საინვესტიციო გრანტები (73.9%), ხოლო ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან მიღებული გრანტები¹⁶ (143.4 მლნ ლარი) წლიური გეგმის 95.6%-ს შეადგენს.

2020 წლის ანალოგიურ მარჯვენაელთან შედარებით, 2021 წელს გრანტების სახით მიღებულია 6.0%-ით (27.6 მლნ ლარით) მეტი, რაც უკავშირდება, ერთი მხრივ, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან მიღებული და მიზნობრივი დანიშნულების გრანტების 135.2 მლნ ლარით ზრდას და მეორე მხრივ, საბიუჯეტო და საინვესტიციო გრანტების 107.7 მლნ ლარით შემცირებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების სახით მიღებული შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში.

¹⁶ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრები.

გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში



დიაგრამა 17: გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

▪ **სხვა შემოსავლების** სახით ბიუჯეტში მიღებულია 823.7 მლნ ლარი, წლიური გეგმის 103.0%. აღნიშნული მცირედი მეტობა წლიურ გეგმასთან მიმართებით დაკავშირებული არაკლასიფიცირებულ ტრანსფერებთან, რომლის სახით ბიუჯეტში მიღებულია გეგმის 127.4%. წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელთან მიმართებით, 2021 წელს სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 23.7%-ით (157.6 მლნ ლარით) მეტი.

	2020 ფაქტი	2021 საწყისი გეგმა	2021 წლიური გეგმა	2021 ფაქტი	2021 ფაქტი / 2021 წლიური გეგმა		2021 ფაქტი საწყის გეგმასთან მიმართებით	2021 ფაქტი / 2020 ფაქტი	
					სხვაობა	%		სხვაობა	%-ული ცვლილება
სხვა შემოსავლები	666.0	550.0	800.0	823.7	23.7	103.0%	149.8%	157.6	23.7%
შემოსავლები საკუთრებიდან	291.9	276.0	486.0	484.0	-2.0	99.6%	175.3%	192.1	65.8%
პროცენტები	156.3	150.0	220.0	263.0	43.0	119.5%	175.3%	106.6	68.2%
დივიდენდები	100.1	101.0	191.0	199.1	8.1	104.3%	197.2%	99.1	99.0%
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან	0.1	1.0	51.0	59.1	8.1	116.0%	5,913.8%	59.1	84,060.9%
ეროვნული ბანკის მოგებიდან	100.0	100.0	140.0	140.0	0.0	100.0%	140.0%	40.0	40.0%
რენტა	35.5	25.0	75.0	21.9	-53.1	29.2%	87.5%	-13.6	-38.4%
სამწესრიგო და მომსახურების რეალიზაცია	38.2	59.4	74.4	69.7	-4.7	93.7%	117.3%	31.4	82.2%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	35.4	56.3	71.3	65.4	-5.9	91.7%	116.1%	30.0	84.6%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	2.8	3.1	3.1	4.3	1.2	139.1%	139.1%	1.5	52.7%
გარიშები, სანაწიფო და სასურავები	71.9	90.0	100.0	92.1	-7.9	92.1%	102.4%	20.2	28.1%
ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	264.0	124.6	139.6	177.9	38.3	127.4%	142.8%	-86.1	-32.6%

ცხრილი 6: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების მარჯვენებლები 2020-2021 წლებში (მლნ ლარი, %).

2021 წლის საწყისი გეგმით სხვა შემოსავლების მარჯვენებელი შეადგენდა 550.0 მლნ ლარს, ხოლო 2021 წლის საბოლოო გეგმით აღნიშნული მარჯვენებელი განისაზღვრა 800.0 მლნ ლარით¹⁷.

2021 წელს ფაქტობრივად მიღებული სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობის ძირითად ნაწილს (58.8%) შეადგენს საკუთრებიდან შემოსავლები (პროცენტი, დივიდენდები, რენტა), რომლის წლიური გეგმა განისაზღვრა 486.0 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო შესრულებამ 484.0 მლნ ლარი (99.6%) შეადგინა. კერძოდ:

¹⁷ აღნიშნული 250 მილიონიანი ზრდა განხორციელდა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ივლისის ცვლილების შედეგად, ძირითადად, საკუთრებიდან შემოსავლების ზრდის გავლენით. მ.შ. პროცენტის მუხლით შემოსავლები გაიზარდა 70.0 მლნ ლარით, დივიდენდები - 90.0 მლნ ლარით და რენტის მუხლით შემოსავლები (ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზიებიდან) - 50.0 მლნ ლარით.

პროცენტის მუხლით მიღებული შემოსავლები 263.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 43.0 მლნ ლარით მეტია წლიურ გეგმაზე. პროცენტის მუხლით მიღებული შემოსავლიდან 186.1 მლნ ლარის მობილიზება მოხდა დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტის სახით, ხოლო 70.6 მლნ ლარის მობილიზება - სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებული პროცენტის სახით.

დივიდენდების სახით მიღებული შემოსავალი (199.1 მლნ ლარი) წლიური გეგმის (191.0 მლნ ლარი) 104.3%-ს შეადგენს. ძირითადი თანხები, 140.0 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 100%), მობილიზებულია ეროვნული ბანკის მოგებიდან. რაც შეეხება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან დივიდენდებს, ბიუჯეტში ამ მიმართულებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა გეგმის 116.0% (59.1 მლნ ლარი).

რენტის მუხლით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 21.9 მლნ ლარი, წლიური გეგმის მხოლოდ 29.2% (საწყისი გეგმის 87.5%)¹⁸, მ.შ. ძირითადი თანხები, 18.9 მლნ ლარის ოდენობით, მობილიზებულია სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლებიდან.

სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობის ასევე მნიშვნელოვან ნაწილს (21.6%) შეადგენს **შემოსავლები არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან**, რომლის სახით მიღებულია 177.9 მლნ ლარი, წლიური გეგმის 127.4%. მათ შორის, მნიშვნელოვანი თანხები შემოვიდა გზატარებლობის საფასურიდან (66.4 მლნ ლარი), წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრების (22.9 მლნ ლარი), შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტის მომსახურების ტარიფიდან (16.4 მლნ ლარი), ვალუტის კურსის ცვლილებით (7.5 მლნ ლარი) შემოსავლების სახით.

რაც შეეხება სხვა შემოსავლების დანარჩენი კომპონენტების შესრულებას,

სანქციებიდან (ჯარიმებიდან და საურავებიდან) მობილიზებულია 92.1 მლნ ლარი (წლიური გეგმის 92.1%), საიდანაც ძირითადი თანხები მოდის სანქციებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა (მ.შ. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო სანქციებიდან შემოსულია 50.2 მლნ ლარი) და ასევე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამო, შესაბამისად 60.7 მლნ ლარი და 18.0 მლნ ლარი.


საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 69.7 მლნ ლარი (წლიური გეგმის 93.7%), რაც ძირითადად მოდის ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულ შემოსავლებზე.

რაც შეეხება წინა წლის მაჩვენებელთან შედარებას, 2021 წელს სხვა შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებელი 157.6 მლნ ლარით (23.7%) აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს, რაც უკავშირდება, ერთი მხრივ, საკუთრებიდან შემოსავლების 65.8%-იან გადაჭარბებას, მეორე მხრივ, არაკლასიფიცირებული ტრანსფერების 32.6%-იან კლებას (გასულ წელს აღნიშნული მიმართულებით ფულადი შემოწირულობებისა და სხვა ნებაყოფლობითი ტრანსფერების სახით ბიუჯეტში ჩაირიცხა 137.3 მლნ ლარი, მიმდინარე წელს კი - 4.3 მლნ ლარი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სხვა შემოსავლების შესრულება კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში.

¹⁸ 2021 წლის ბიუჯეტის (ივლისის) ცვლილების მიხედვით რენტის მუხლით შემოსავლების გეგმა გაიზარდა 50.0 მლნ ლარით, 75 მლნ ლარამდე, რომლის მიღებაც გათვალისწინებულ იყო ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზიებიდან, თუმცა ფაქტობრივად თავდაპირველად დაგეგმილი შემოსავლის მიღებაც კი ვერ მოხერხდა.

სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში



დიაგრამა 18: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).


არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები 212.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის 60.7%-ს (საწყისი წლიური გეგმის 141.7%-ს) შეადგენს. აღნიშნული ნაკლებობა დაკავშირებულია ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობებთან, რომლის სახითაც მიღებულ იქნა წლიური გეგმური მაჩვენებლის 54.3% (173.8 მლნ ლარი). არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან შემოვიდა წლიურ გეგმიურ მაჩვენებელზე 8.8 მლნ ლარით მეტი, 38.8 მლნ ლარი, რაც ძირითადად მიწის რეალიზაციიდან შემოსულობებზე მოდის.

რაც შეეხება წინა წელთან მიმართებას, არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები 114.4 მლნ ლარით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც დაკავშირებულია როგორც ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (მ.შ. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან შემოსულობამ მიაღწია 142.7 მლნ ლარს, ხოლო 2020 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 64.6 მლნ ლარს შეადგენდა), ასევე, მიწის რეალიზაციიდან შემოსულობების მნიშვნელოვან მატებასთან (მ.შ. 2021 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 23.0 მლნ ლარი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან - 13.1 მლნ ლარი, 2020 წელს კი ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენდა, შესაბამისად, 9.0 მლნ ლარს და 2.9 მლნ ლარს).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში.

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში




დიაგრამა 19: არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი)

ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები 163.3 მლნ ლარს, წლიური გეგმის (210.0 მლნ ლარი) 77.8%-ს (საწყისი წლიური გეგმის 108.9%-ს) შეადგენს და თითქმის უტოლდება წინა წლის მაჩვენებელს. ძირითადი თანხები მიღებულ იქნა გაცემული სესხების დაბრუნებიდან 160.8 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო აქციებისა და სხვა კაპიტალის მუხლით (სახელმწიფო საწარმოებში წილის გაყიდვით) შემოსულობებმა (რომელიც გეგმით არ იყო გათვალისწინებული) 2.5 მლნ ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში¹⁹.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში



დიაგრამა 20: ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი)

ვალდებულებების ზრდა

ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებით შესრულების შედარებით მაღალი დონით ხასიათდება: ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების საწყისი წლიური გეგმა განსაზღვრული იყო 5,278.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო საბოლოო გეგმით შემცირდა 288.8 მლნ ლარით, ძირითადად, საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებლის შემცირების გავლენით²⁰ და განისაზღვრა 4,990.1 მლნ ლარის დონეზე. ფაქტობრივად ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების სახით 2021 წელს ბიუჯეტში მიღებულ იქნა 5,251.5 მლნ ლარი, წლიური გეგმის 105.2% (საწყისი წლიური გეგმის 99.5%) ანუ გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელზე 261.5 მლნ ლარით მეტი, რაც ძირითადად დაკავშირებულია საგარეო სესხებთან, კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებთან, რომლის სახით ბიუჯეტში მიღებულია წლიური გეგმის მაჩვენებლის 112.1% (2,467.2 მლნ ლარი). საინვესტიციო კრედიტების სახით კი ბიუჯეტში შემოსულია წლიური გეგმის 100.1% (1,377.6 მლნ ლარი). გარდა ამისა, 2021 წელს დასაფარი ევრობონდების რეფინანსირების მიზნით, ახალი ევრობონდების გამოშვებით საგარეო ვალდებულებების აღების შედეგად²¹, ბიუჯეტში მიღებულია 1,713.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 100.0%-ია.

¹⁹ 2014 წლის ოქტომბრამდე მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, 2012-2013 წლების ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებლებში, კერძოდ, ვალუტისა და დეპოზიტების მუხლში, გათვალისწინებულია წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები, რომელიც მოქმედი კლასიფიკაციით აღირიცხება სხვა შემოსავლებში.

²⁰ 2021 წლის ბიუჯეტის საწყისი გეგმით საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა დაგეგმილი არ იყო, ბიუჯეტის ივლისის ცვლილებით აღნიშნული მაჩვენებელი განისაზღვრა -150.0 მლნ ლარის ოდენობით, დეკემბრის დამტკიცებული ბიუჯეტით კი დაიგეგმა საშინაო ვალის შემცირება დამატებით კიდევ 150.0 მლნ ლარით, შესაბამისად საბოლოო გეგმით საშინაო ფასიანი ქაღალდების წმინდა გამოშვება განისაზღვრა (-300.0) მლნ ლარით.

²¹ მიმდინარე წელს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ევრობონდების გამოშვება (გადიანობა - 5 წელი, ფასიანი ქაღალდის კუპონის საპროცენტო განაკვეთი 2.75%). ახალი საგარეო ვალის აღება განხორციელდა 2011 წელს გამოშვებული ევრობონდების (გადიანობა - 10 წელი, კუპონის განაკვეთი 6.875%) რეფინანსირების მიზნით. ამ ვალის ძირითადი თანხის (500 მლნ აშშ დოლარის) დაფარვა განხორციელდა მიმდინარე წლის აპრილში.


	2020 ფაქტი	2021 საწყისი გეგმა	2021 წლიური გეგმა	2021 ფაქტი	2021 ფაქტი / 2021 წლიური გეგმა		2021 ფაქტი საწყის გეგმასთან მიმართებ ით	2021 ფაქტი / 2020 ფაქტი	
					სხვაობა	%		სხვაობა	%-ული ცვლილება
ვალდებულებების ზრდა	7,290.4	5,278.9	4,990.1	5,251.5	261.5	105.2%	99.5%	-2,038.9	-28.0%
საბარეო	5,264.3	5,278.9	5,290.1	5,558.0	267.9	105.1%	105.3%	293.7	5.6%
ევრობონდები		1,657.0	1,713.2	1,713.1	0.0	100.0%	103.4%	1,713.1	
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	3,845.6	2,171.0	2,200.0	2,467.2	267.2	112.1%	113.6%	-1,378.3	-35.8%
საინვესტიციო კრედიტები	1,418.8	1,450.9	1,376.9	1,377.6	0.7	100.1%	95.0%	-41.1	-2.9%
საშინაო	2,026.1	0.0	-300.0	-306.5	-6.5	102.2%		-2,332.6	-115.1%

ცხრილი 7: სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდის მაჩვენებლები 2020-2021 წლებში (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებებს (ფასიანი ქაღალდების შესყიდვებისა და დაფარვის ოპერაციების შედეგად ვალდებულებების წმინდა ზრდა), წლის განმავლობაში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით²² მიღებულმა თანხამ 1,332.2 მლნ ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 1,638.7 მლნ ლარი შეადგინა, შედეგად, საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდა -306.5 მლნ ლარს გაუტოლდა (გასული წლის ანალოგიურ პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 2,026.1 მლნ ლარს), რაც წლიური გეგმით გათვალისწინებული სიდიდის 102.2%-ია.

2012-2020 წლებში, ყოველწლიურად, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მოცულობა ზრდის ტენდენციას ავლენს (როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალდებულებების ზრდის ხარჯზე), გარდა 2013 და 2015 წლებისა. 2013 - 2019 წლებში აღნიშნული კომპონენტის ზრდის საშუალო მაჩვენებელი 22.4%-ს შეადგენს, 2020 წელს კი ვალდებულებების ზრდის ჯამური სიდიდე 2019 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან მიმართებით, 212.2%-ით (3-ჯერ, 4,955.0 მლნ ლარით) არის გაზრდილი (COVID-19 პანდემიის უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, დამატებითი რესურსების მოზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე). 2021 წელს ვალდებულებების ზრდით შემოსულობების მოცულობა გაზრდილია გასული წლების ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა 2020 წლის მაჩვენებელს 2,038.9 მლნ ლარით (28.0%-ით) ჩამორჩება, საშინაო ვალდებულებების მნიშვნელოვანი (115.1%-იანი) შემცირების გავლენით. საგარეო ვალდებულებების ზრდის მოცულობა კი მცირედით, 5.6%-ით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს (ბიუჯეტის მხარდამჭერი და საინვესტიციო კრედიტების შემცირების მიუხედავად), რაც დაკავშირებულია 2021 წელს ევრობონდების გადაფარვის მიზნით ახალი ევრობონდის გამოშვებასთან (1.7 მილიარდი ლარის ოდენობით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2012-2021 წლებში.



დიაგრამა 21: საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).


²² 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 46 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1,351.2 მლნ ლარის მოცულობით, აქედან 2, 5 და 10 წლის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციები ემიტირებული 991.2 მლნ ლარის ოდენობით, სრულად წარმოადგენს ე. წ. „ბენჩმარკ ბონდებს“.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 19,796.1 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელების შესრულებამ შეადგინა 19,807.5 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 100.1%-ს და საწყისი წლიური გეგმის (18,384.5 მლნ ლარი) 107.7%-ს უტოლდება, ხოლო გასული წლის ანალოგიურ მარჩვენებელზე 22.5%-ით (3,632.9 მლნ ლარით) მეტია.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მარჩვენებელი ხასიათდება ყოველწლიური ზრდის ტენდენციით და ზრდის ტემპის მარჩვენებელთა ცვალებადობით გამოირჩევა. 2013-2021 წლებისთვის გადასახდელების საშუალო ზრდის ტემპი 11.1%-ს შეადგენს. 2020 წელს აღნიშნული მარჩვენებელი 20.1%-ით განისაზღვრა, ხოლო 2021 წელს - 22.5%-ით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მარჩვენებელთა %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით 2013-2021 წლებში



დიაგრამა 23: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მარჩვენებელთა %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით 2013-2021 წლებში (%).


ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2020-2021 წლებში. როგორც ცხრილშია ასახული, გადასახდელების კომპონენტების 2021 შესრულების მარჩვენებელი დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით მერყეობს 99.7% - 108.8%-ის ფარგლებში, წლიურ გეგმასთან მიმართებით - 99.8%-102.0%-ის ფარგლებში, ხოლო საწყისი წლიურ გეგმასთან მიმართებით - 80.3%-111.3%-ის ფარგლებში.

	2020 ფაქტი	2021 საწყისი გეგმა	2021 წლიური გეგმა	2021 დაზუსტ. გეგმა	2021 ფაქტი	2021 ფაქტი /2021 დაზუსტ. გეგმა		2021 ფაქტი /2021 წლიური გეგმა		2021 ფაქტი /2021 საწყისი გეგმა
						სხვაობა	%	სხვაობა	%	
სულ გადასახდელები	16,174.6	18,384.5	19,796.1	19,796.1	19,807.5	11.4	100.1%	11.4	100.1%	107.7%
ხარჯები	12,533.9	12,758.3	14,232.1	14,241.2	14,197.9	-43.4	99.7%	-34.2	99.8%	111.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,319.0	2,416.9	2,525.7	2,514.7	2,544.2	29.5	101.2%	18.5	100.7%	105.3%
ფინანსური აქტივების ზრდა	377.7	402.7	316.8	297.1	323.2	26.1	108.8%	6.3	102.0%	80.3%
ვალდებულებების კლება	944.0	2,806.6	2,721.6	2,743.1	2,742.3	-0.9	100.0%	20.7	100.8%	97.7%

ცხრილი 8: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2020-2021 წლებში (მლნ ლარი, %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2012-2021 წლებში შემადგენელი კომპონენტების მიხედვით:


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში



დიაგრამა 24: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაგალითისათვის 2021 წლის მარჯვენებელი 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 2.5-ჯერ (12,000.7 მლნ ლარით), რაც გამოწვეულია მისი ძირითადი კომპონენტების (ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება) ზრდით. თუმცა, თუ განვიხილავთ ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის წილს მთლიან გადასახდელებში, ნათლად ჩანს, რომ 2012-2021 წლებში ხარჯების წილი კლების ტენდენციით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილი ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა. კერძოდ, 2012 წელს, გადასახდელების 84.1%-ს შეადგენდა ხარჯები, ხოლო გადასახდელების 9.3%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. აღნიშნული მაჩვენებლები, 2020 წელს, შეადგენდა შესაბამისად 77.5%-სა და 14.3%-ს. 2021 წელს კი, ხარჯების წილი გადასახდელებში 71.7%-მდე შემცირდა, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილი 12.8%-მდე შემცირდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის შესრულებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ვალდებულებების კლების წილი გადასახდელებში და 13.8% შეადგინა, რაც დაკავშირებულია 1,706.7 მლნ ლარის ოდენობით ევრობონდების ძირითადი თანხის დაფარვასთან.

გადასახდელებში 4 ძირითადი კომპონენტის პროცენტული განაწილების საჩვენებლად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების პროცენტული განაწილება:




დიაგრამა 25: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურის დინამიკა 2012-2021 წლებში (%).

2021 წლის გადასახდელების მიმოხილვისას საინტერესოა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება თვეების მიხედვით. გადასახდელების შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აპრილში (3,181.4 მლნ ლარი), ხოლო ყველაზე მცირე - თებერვალში (1,207.4 მლნ ლარი). 2021 წლის აპრილში წლიური შესრულების 16.1%-ის ათვისება მოხდა, მაშინ როცა დანარჩენი 11 თვის საშუალო მაჩვენებელმა 7.6% შეადგინა. აპრილში გადასახდელების

შესრულების მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია ვალდებულებების კლების კომპონენტის მაღალ შესრულებასთან. კერძოდ, 2021 წლის აპრილში მოხდა 2011 წელს გამოშვებული 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 10 წლიანი ფასიანი ქაღალდების (ევრობონდების) დაფარვა, რომელმაც, როგორც ზემოთაღინიშნა, 1,706.7 მლნ ლარი შეადგინა.


2021 წლის თებერვალში წლიური შესრულების 6.1% იქნა ათვისებული, შესრულების დაბალი მაჩვენებელი დაკავშირებულია წლიურ ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით გადასახდელების სამი კომპონენტის (გარდა ფინანსური აქტივების ზრდისა) დაბალ შესრულებასთან. კერძოდ, თებერვალში განეული ხარჯები წლიური მაჩვენებლის 6.9%-ს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი - 5.7%-ს, ვალდებულებების კლება - 2.0%-ს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეული გადასახდელები თვეების მიხედვით.



დიაგრამა 26: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები თვეების მიხედვით (მლნ ლარი).

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურას ე.წ. მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებთან²³ მიმართებაში, წინა წელთან შედარებით, 2021 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების შეფარდება მშპ-თან შემცირებულია 24.5%-მდე, ხოლო კაპიტალური ხარჯების შეფარდება მშპ-თან შემცირებულია 7.9%-მდე.



დიაგრამა 27: ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან 2012-2021 წლებში (%).

²³ ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები მოიცავს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლების მიხედვით განეულ გადასახდელებს, ხოლო კაპიტალური ხარჯები გულისხმობს ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტების ფარგლებში განეული გადასახდელების ჯამს.

ხარჯები


2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების 2021 წლის შესრულებამ 14,197.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც საწყისი გეგმის (12,758.3 მლნ ლარი) 111.3%-ს, წლიური გეგმის (14,232.1 მლნ ლარი) 99.8%-ს და დაბუსტებული გეგმის (14,241.2 მლნ ლარი) 99.7%-ს წარმოადგენს. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის გადანაწილებული:

	2020 ფაქტი	2021 საწყისი გეგმა	2021 წლიური გეგმა	2021 დაბუსტ. გეგმა	2021 ფაქტი	2021 ფაქტი /2021 დაბუსტ. გეგმა		2021 ფაქტი /2021 წლიური გეგმა		2021 ფაქტი /2021 საწყისი გეგმა
						სხვაობა	%	სხვაობა	%	
ხარჯები	12,533.9	12,758.3	14,232.1	14,241.2	14,197.9	-43.4	99.7%	-34.2	99.8%	111.3%
შრომის ანაზღაურება	1,543.1	1,614.7	1,640.9	1,649.1	1,654.8	5.7	100.3%	13.9	100.8%	102.5%
საქონელი და მომსახურება	1,529.2	1,606.7	1,851.7	1,830.6	1,800.1	-30.4	98.3%	-51.6	97.2%	112.0%
პროცენტი	763.7	918.0	798.0	793.2	790.5	-2.7	99.7%	-7.5	99.1%	86.1%
სუბსიდიები	837.1	649.7	858.3	862.4	859.8	-2.5	99.7%	1.6	100.2%	132.3%
გრანტები	1,010.7	790.6	935.4	974.2	950.2	-24.0	97.5%	14.8	101.6%	120.2%
სოციალური უზრუნველყოფა	5,343.2	5,361.9	6,003.3	6,083.7	6,082.6	-1.1	100.0%	79.3	101.3%	113.4%
სხვა ხარჯები	1,507.0	1,816.7	2,144.5	2,048.1	2,059.8	11.7	100.6%	-84.6	96.1%	113.4%

ცხრილი 9: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2020-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში




დიაგრამა 28: ხარჯების დინამიკა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი)

2021 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლის დაბუსტებული გეგმა შეადგენდა 1,649.1 მლნ ლარს, ხოლო ხარჯმა შეადგინა 1,654.8 მლნ ლარი (100.3%). რაც შეეხება საწყის (1,614.7 მლნ ლარი) და დამტკიცებულ (1,640.9 მლნ ლარი) გეგმებს, აღნიშნული მუხლის ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 102.5% და 100.8%. თუ გავითვალისწინებთ „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ზრდის ტემპს 2013-2021 წლებში, აღნიშნული მაჩვენებელი (საშუალო ზრდის ტემპი) 5.3%-ს შეადგენს, 2021 წლისთვის კი 7.2%-ია.

რაც შეეხება „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების ფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და ხარჯებთან მიმართებაში, 2021 წლისთვის სამივე მაჩვენებელმა, 2012-2021 წლების განმავლობაში, მინიმუმი შეადგინა. კერძოდ, 2021 წელს, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა მშპ-ს 2.7% (2020 წელს

- 3.1%), სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 8.4% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 11.7% შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლით განეული ხარჯების ფარდობის მაჩვენებლები



დიაგრამა 29: სახელმწიფო ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლით განეული ხარჯების ფარდობის მაჩვენებლები მშპ-თან, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და ხარჯებთან 2012-2021 წლებში (%).

2021 წელს „საქონელი და მომსახურების“ მუხლის შესრულებამ შეადგინა 1,800.1 მლნ ლარი, რაც დაბუსტებული გეგმის (1,830.6 მლნ ლარი) 98.3%-ს, დამტკიცებული გეგმის (1,851.7 მლნ ლარი) 97.2%-ს და საწყისი გეგმის (1,606.7 მლნ ლარი) 112.0%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის 2013-2021 წლების ზრდის ტემპი 7.1%-ია, თუმცა 2021 წლისთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა 17.7% შეადგინა.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით, 2019-2021 წლებში, ხარჯები მიიმართა შემდეგი მიმართულებებით:

	2019 ფაქტი	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2021 ფაქტი / 2020 ფაქტი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
საქონელი და მომსახურება	1,301.9	1,529.2	1,800.1	271.0	17.7%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	242.2	296.3	359.6	63.3	21.4%
მივლინება	80.8	57.0	47.1	-9.9	-17.3%
ოფისის ხარჯები	198.6	217.3	253.8	36.4	16.8%
წარმომადგენლობითი ხარჯები	22.6	10.5	17.5	7.0	66.6%
კვების ხარჯები	67.7	91.1	96.9	5.8	6.4%
სამედიცინო ხარჯები	82.6	196.3	268.2	71.9	36.6%
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	28.8	67.5	48.4	-19.2	-28.4%
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	140.0	107.3	139.1	31.8	29.6%
სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	26.6	12.9	13.5	0.6	4.4%
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	412.0	472.7	555.9	83.2	17.6%

ცხრილი 10: „საქონელი და მომსახურების“ მუხლით განეული გადასახდელები 2019-2021 წლებში, მლნ ლარი.

„პროცენტის“ მუხლის 2021 წლის დაბუსტებული გეგმა განსაზღვრული იყო 793.2 მლნ ლარის ოდენობით, საიდანაც შესრულებამ შეადგინა 790.5 მლნ ლარი (99.7%), აღნიშნული შესრულება 2021 წლის საწყისი გეგმის (918.0 მლნ ლარის) 86.1%-ს შეადგენს, ხოლო წლიური გეგმის (798.0 მლნ ლარი) – 99.1%-ს. აღნიშნული მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას მოხმარდა 283.7 მლნ ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას - 506.6 მლნ ლარი.

2021 წელს „სუბსიდიების“ მუხლის შესრულებამ შეადგინა 859.8 მლნ ლარი, რაც დაბუსტებული გეგმის (862.4 მლნ ლარი) 99.7%-ს შეადგენს. რაც შეეხება შესრულების პროცენტულ მაჩვენებელს საწყის და დამტკიცებულ გეგმებთან მიმართებაში, აღნიშნული მუხლის 2021 წლის საკასო ხარჯი საწყისი გეგმის (649.7 მლნ ლარი) 132.3%-ია და დამტკიცებული გეგმის (858.3 მლნ ლარი) 100.2%-ია.


2021 წელს „სუბსიდიების“ მუხლით ძირითადი ხარჯი გაიწია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამებზე „მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია“ (პროგრამული კოდი - 32 11) – 130.6 მლნ ლარი, „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი - 32 05) – 19.8 მლნ ლარი; „პროფესიული განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 03) – 16.9 მლნ ლარი; „უმაღლესი განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 04) – 7.5 მლნ ლარი; „სკოლამდელი და ზოგადი განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 02) – 6.9 მლნ ლარი და „კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი - 32 09) – 6.8 მლნ ლარი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებზე „ერთიანი აგროპროექტი“ (პროგრამული კოდი - 31 05) – 215.9 მლნ ლარი, „მევენახეობა-მელვინეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 31 03) - 139.8 მლნ ლარი და „სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია“ (პროგრამული კოდი - 31 06) – 24.2 მლნ ლარი; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 04) - 60.3 მლნ ლარი; „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი - 25 02) – 21.2 მლნ ლარი და „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 25 05) – 17.0 მლნ ლარი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე „მეწარმეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 07) – 100.0 მლნ ლარი, „სახელმწიფო ქონების მართვა“ (პროგრამული კოდი - 24 06) – 22.6 მლნ ლარი და „საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD)“ (პროგრამული კოდი - 24 12) – 15.4 მლნ ლარი; საქართველოს საპატრიარქოზე (პროგრამული კოდი - 45 00) – 24.1 მლნ ლარი.

„გრანტების“ მუხლის შესრულებამ 2021 წელს შეადგინა 950.2 მლნ ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის (974.2 მლნ ლარი) 97.5%-ს, დამტკიცებული გეგმის (935.4 მლნ ლარი) 101.6%-ს და საწყისი გეგმის (790.6 მლნ ლარი) 120.2%-ს შეადგენს. 2020 წელთან შედარებით შემცირებულია 2021 წლის შესრულება 60.4 მლნ ლარით (6.0%). აღნიშნული მუხლის 2021 წლის შესრულებაში ძირითადი წილი მოდის ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემ ტრანსფერებზე 682.2 მლნ ლარის ოდენობით (მ.შ. კაპიტალური ტრანსფერი - 439.2 მლნ ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 231.0 მლნ ლარი და მიზნობრივი ტრანსფერი - 12.0 მლნ ლარი). გარდა ამისა, აღნიშნული მუხლით ხარჯი გაიწია სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლის (პროგრამული კოდი - 42 00) მიერ 69.2 მლნ ლარის ოდენობით; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამების ფარგლებში - „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი - 32 05) – 29.5 მლნ ლარი და „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამული კოდი 32 07) – 21.5 მლნ ლარი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის - „მეწარმეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 07) - ფარგლებში 58.4 მლნ ლარის ოდენობით;

რაც შეეხება მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების გრანტებს, 2021 წლის „გრანტების“ შესრულებიდან (950.2 მლნ ლარი) 248.1 მლნ ლარი წარმოადგენს მიმდინარე გრანტს, ხოლო 702.2 მლნ ლარი - კაპიტალურ გრანტს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მიმდინარე და კაპიტალური გრანტების შესრულება 2012-2021 წლებში.

მიმდინარე და კაპიტალური გრანტები 2012-2021 წლებში



დიაგრამა 30: მიმდინარე და კაპიტალური გრანტები 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).


როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2019-2021 წლებში, 2012-2018 წლებთან შედარებით, მკვეთრად შემცირებულია მიმდინარე გრანტების შესრულება, რაც დაკავშირებულია 2018 წლის ბოლოს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებასთან. კერძოდ, გათანაბრებითი ტრანსფერის გაუქმებასთან. რაც შეეხება კაპიტალური გრანტის შესრულებას (702.2 მლნ ლარი), 2012-2021 წლებში, აღნიშნულმა ყველაზე მაღალ ნიშნულს სწორედ 2021 წელს მიაღწია.

2021 წელს ყველაზე დიდი ხარჯი გაიწია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით, 6,082.6 მლნ ლარი (ხარჯების 42.8%), აღნიშნული მუხლის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 6,003.3 მლნ ლარს. შესაბამისად, წლიურმა შესრულებამ შეადგინა გეგმის 101.3%. რაც შეეხება დაზუსტებულ გეგმას (6,083.7 მლნ ლარი), აღნიშნული მუხლის შესრულება დაზუსტებული გეგმის 100.0%-ია, ხოლო თუ შესრულებას შევადარებთ საწყის გეგმას (5,361.9 მლნ ლარი), ამ შემთხვევაში „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულების მაჩვენებელი საწყისი გეგმის 113.4%-ს წარმოადგენს. 2020 წელთან შედარებით 2021 წელს „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გაწეული ხარჯი გაიზარდა 739.4 მლნ ლარით (13.8%).

აღნიშნული მუხლის ხარჯვა ძირითადად გადანაწილებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემდეგი ქვეპროგრამების ფარგლებში: „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი - 27 02 01)“ – 2,574.5 მლნ ლარი, „მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი - 27 03 03)“ – 947.6 მლნ ლარი, „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი - 27 02 02)“ - 906.4 მლნ ლარი, „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი - 27 03 01)“ – 791.6 მლნ ლარი და „ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო მოსახლეობის სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი - 27 02 06)“ – 270.4 მლნ ლარი. გარდა ამისა, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (პროგრამული კოდი 56 11) მიიმართა 236.0 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულება და მისი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებსა და ხარჯებში 2012-2021 წლებში.

2012-2021 წლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულება და მისი წილი ხარჯებში და გადასახდელებში



დიაგრამა 31: 2012-2021 წლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულება და მისი წილი ხარჯებში და გადასახდელებში (მლნ ლარი, %)


როგორც დიაგრამაზე ნარმოდგენილი „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულება, 2012-2021 წლებში, ყოველწლიურად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და მაქსიმუმს 2021 წლისთვის აღწევს. 2012 წელთან შედარებით 2021 წლის შესრულება 3.6-ჯერ არის გაზრდილი. რაც შეეხება მის წილს გადასახდელებსა და ხარჯებში, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულების წილი ხარჯებში მაქსიმუმს (42.8%) 2021 წლისთვის აღწევს, ხოლო მისი წილი გადასახდელებში 2021 წლისთვის 30.7%-ს შეადგენს (2012-2021 წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2020 წელს დაფიქსირდა 33.0%-ის ოდენობით).

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით „სხვა ხარჯების“ მუხლის გეგმა შეადგენდა 2,144.5 მლნ ლარს, ხოლო მისმა შესრულებამ შეადგინა 2,059.8 მლნ ლარი, რაც წლიური დამტკიცებული გეგმის 96.1%-ია. „სხვა ხარჯების“ საწყისი გეგმა კი განსაზღვრული იყო 1,816.7 მლნ ლარით და შესაბამისად შესრულებამ საწყისი გეგმის 113.4% შეადგინა. რაც შეეხება აღნიშნული მუხლის დაზუსტებულ გეგმას, 2021 წლის ბოლოსთვის მისი მოცულობა განისაზღვრა 2,048.1 მლნ ლარით და შესაბამისად შესრულებამ დაზუსტებული გეგმის 100.6% შეადგინა.

2021 წელს, 2020 წელთან შედარებით აღნიშნული მუხლით განეული ხარჯი გაზრდილია 552.8 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია მოსწავლეთა ვაუჩერების ხარჯისა და კაპიტალური ტრანსფერის გაზრდით. 2021 წელს „სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად თანხები მიიმართა შემდეგი ტიპის ხარჯების დასაფინანსებლად: მოსწავლეთა ვაუჩერების ხარჯი – 905.7 მლნ ლარი; კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული – 579.5 მლნ ლარი და სახელმწიფო სასწავლო გრანტების ხარჯი – 102.6 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნარმოდგენილია 2012-2021 წლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლით განეული მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერების შესახებ ინფორმაცია.

ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლის შესრულება 2012-2021 წლებში




დიაგრამა 32: ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლის შესრულება 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს თვეების მიხედვით, 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი ოდენობის ხარჯები გაიწია დეკემბერში (1,868.6 მლნ ლარი), ხოლო ყველაზე მცირე ოდენობით - თებერვალში (977.5 მლნ ლარი), ხარჯების ყოველთვიური საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 1,183.2 მლნ ლარს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2021 წელს თვეების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2021 წელს თვეების მიხედვით



დიაგრამა 33: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2021 წელს თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

არაფინანსური აქტივების ზრდა


2021 წლის ბოლოსთვის არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ 2,514.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო შესრულებამ - 2,544.2 მლნ ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 101.2%-ს წარმოადგენს. საკასო ხარჯი, ასევე, აღემატება აღნიშნული მუხლის საწყის და დამტკიცებულ გეგმებს. კერძოდ, შესრულება საწყისი გეგმის (2,416.9 მლნ ლარი) 105.3%-ს, ხოლო დამტკიცებული გეგმის (2,525.7 მლნ ლარი) 100.7%-ს წარმოადგენს. 2020 წელთან შედარებით, 2021 წლის შესრულების მაჩვენებელი გაზრდილია 225.2 მლნ ლარით (9.7%-ით).

2021 წლის შესრულება ძირითადად გადანაწილებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შემდეგ პროგრამებზე: „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 02)“ - 1,450.5 მლნ ლარი, „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03)“ - 326.5 მლნ ლარი და „ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 07)“ - 165.4 მლნ ლარი; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემდეგ პროგრამებზე: „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება“ (პროგრამული კოდი - 29 08) - 110.3 მლნ ლარი და „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 29 05) - 82.7 მლნ ლარი.

2021 წელს არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებაში ძირითადი წილი მოდის ძირითადი აქტივების კომპონენტის შესრულებაზე. კერძოდ, 2021 წლის შესრულებიდან (2,544.2 მლნ ლარი) ძირითად აქტივებზე მიიმართა 2,489.8 მლნ ლარი, არაწარმოებულ აქტივებზე - 51.4 მლნ ლარი, ფასეულობებზე - 2.2 მლნ ლარი და მატერიალურ მარაგებზე - 0.8 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში.


არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში



დიაგრამა 34: არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი)

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებას 2021 წლის თვეების მიხედვით, ყველაზე დიდი წილი მოდის 2021 წლის დეკემბერზე - 463.5 მლნ ლარი, რაც წლიური შესრულების 18.2%-ია, ხოლო დანარჩენი 11 თვის საშუალო მაჩვენებელი 7.4%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება 2021 წლის თვეების მიხედვით.

არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება თვეების მიხედვით



დიაგრამა 35: არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება 2021 წლის თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

ფინანსური აქტივების ზრდა


2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული **ფინანსური აქტივების ზრდის** საწყისი გეგმა 402.7 მლნ ლარს შეადგენდა, 2021 წლის დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით გეგმა განისაზღვრა 316.8 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო წლის ბოლოსთვის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 297.1 მლნ ლარი. რაც შეეხება ფაქტობრივ შესრულებას, აღნიშნული მუხლის საკასო ხარჯმა შეადგინა 323.2 მლნ ლარი, რაც საწყისი გეგმის 80.3%-ს, დამტკიცებული გეგმის 102.0%-ს და დაზუსტებული გეგმის 108.8%-ს წარმოადგენს. 2021 წლის შესრულება სრულად საკრედიტო რესურსით დაფინანსების წყაროზე მოდის, რაც გულისხმობს მიღებული კრედიტის საშინაო დებიტორზე სესხად გაცემას.

2021 წლის შესრულება გადანაწილებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის - „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EU, EIB, EBRD) (პროგრამული კოდი 24 13)“ - ფარგლებში გაცემულ სესხებზე 60.9 მლნ ლარის ოდენობით, ამავე სამინისტროს „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი 24 14) ფარგლებში გაცემულ სესხებზე 56.2 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამის - „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)“ -

ფარგლებში გაცემულ სესხებზე 66.1 მლნ ლარის ოდენობით, ამავე სამინისტროს „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამის (პროგრამული კოდი 25 05)“ ფარგლებში გაცემულ სესხებზე 1.0 მლნ ლარის ოდენობით და დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 138.9 მლნ ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში.

ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში



დიაგრამა 36: ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2012-2021 წლებში (მლნ ლარი)

ვალდებულებების კლება

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მეოთხე კომპონენტს, ვალდებულებების კლებას, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გეგმა შეადგენდა 2,721.6 მლნ ლარს, ხოლო შესრულებამ (2,742.3 მლნ ლარი) შეადგინა გეგმის 100.8%. რაც შეეხება, შესრულების მაჩვენებელს საწყის (2,806.6 მლნ ლარი) და დაზუსტებულ (2,743.1 მლნ ლარი) გეგმებთან მიმართებაში, შესაბამისად შეადგენს 97.7%-ს და 100.0%-ს. 2020 წელთან შედარებით, ფაქტობრივი ხარჯი გაზრდილია 1,798.2 მლნ ლარით (190.5%), რაც გამოწვეულია 1,706.7 მლნ ლარის ოდენობით ევრობონდების ძირითადი თანხის დაფარვით. 2021 წელს საგარეო ვალდებულებების დაფარვაზე მიიმართა 2,655.8 მლნ ლარი, ხოლო, საშინაო ვალდებულებების დაფარვაზე - 86.5 მლნ ლარი (დეტალურად იხილეთ „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“).

	2021 წლის შესრულება	შესრულება საწყის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან	შესრულება დაზუსტ. გეგმასთან
ვალდებულებების კლება	2,742.3	97.7%	100.8%	100.0%
საგარეო	2,655.8	96.1%	99.1%	100.0%
საშინაო	86.5	201.8%	201.8%	100.0%


ცხრილი 11: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2021 წელს (მლნ ლარი, %)

ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია²⁴

საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის²⁵ მიხედვით ასიგნებები განსაზღვრული იყო 16,757.7 მლნ ლარით. საწყისი გეგმა 15,175.3 მლნ ლარს, ხოლო დაბუსტებული გეგმა 16,756.0 მლნ ლარს შეადგენდა. 2021 წლის ფაქტობრივმა შესრულებამ კი შეადგინა 16,742.1 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2021 წლის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



დიაგრამა 37: 2021 წლის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებები მიიმართა შემდეგ 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებებზე: სოციალური დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, ჯანმრთელობის დაცვა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ზემოაღნიშნული 4 მიმართულება წარმოადგენდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებას, ხოლო 2016-2019 წლებში - 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებაში შედიოდა განათლება ჯანმრთელობის დაცვის მიმართულების ნაცვლად. ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება, 2016-2019 წლებში, მე-5 და მე-6 პოზიციებს იკავებდა მიმართულებებს შორის სიდიდის მიხედვით.


გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების მიმართულება, 2012-2019 წლებში, კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და 2019 წელს ყველაზე მცირე მაჩვენებელი შეადგინა. თუმცა, 2020 წლიდან, გაიზარდა აღნიშნული მიმართულების დაფინანსება და 2021 წელს 1,997.3 მლნ ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს 2012-2021 წლების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში და მისი შეფარდება მშპ-თან:

²⁴ 2012-2021 წლებში ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შესრულების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი წლის შესრულების შესახებ სახაზინო სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე.

²⁵ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.


ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია და მისი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში



დიაგრამა 38: ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია და მისი შეფარდება მშპ-თან 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

როგორც დიაგრამაზე წარმოდგენილი, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის 4 მსხვილი მიმართულებიდან ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებები ხასიათდება ყოველწლიური ზრდის ტენდენციით 2012-2021 წლებში (სოციალური დაცვის მიმართულების დაფინანსება მხოლოდ 2021 წელს შემცირდა 18 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ განათლების მიმართულების დაფინანსებაც, 2012-2021 წლებში, მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, გარდა 2020 წლისა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია აღნიშნული მიმართულებების შესრულება 2012-2021 წლებში და მათი შეფარდება მშპ-თან:

სოციალური დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება 2012-2021 წლებში




დიაგრამა 39: სოციალური დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული იყო 12 პრიორიტეტი, რაზეც ჯამურად მიიმართა 15,250.6 მლნ ლარი. აღნიშნული პრიორიტეტების შესრულება საწყისი გეგმის (13,646.2 მლნ ლარი) 111.8%-ს, დამტკიცებული გეგმის (15,080.8 მლნ ლარი) 101.1%-ს და დაბუსტებული გეგმის (15,156.8 მლნ ლარი) 100.6%-ს შეადგენს. 2020 წლის მაჩვენებელს კი 1,856.1 მლნ ლარით (13.9%-ით) აღემატება.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები 2021 წელს




დიაგრამა 40: სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები 2021 წელს (მლნ ლარი)

2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართული ასიგნების 85.2% 4 პრიორიტეტზე მოდის, ესენია: ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 6,435.5 მლნ ლარი; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 2,208.8 მლნ ლარი; რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი - 2,538.5 მლნ ლარი; განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება - 1,810.3 მლნ ლარი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 4 პრიორიტეტის დაფინანსება 2021 წელს ყველაზე მაღალია 2012-2021 წლებში მიმართულ დაფინანსებებთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2021 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები 2012-2021 წლებში



დიაგრამა 41: სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების შესრულების მაჩვენებლები

შესრულების მაჩვენებლები მხარჯავი დაწესებულებების დონეზე

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, თავდაპირველად, საწყისი გეგმით, განსაზღვრული იყო 55 მხარჯავი დაწესებულება²⁶, რომელთაგან 17-ის ფარგლებში განსაზღვრული იყო ჯამურად 127 პროგრამა²⁷, ხოლო 38 მხარჯავი დაწესებულებისთვის არ იყო პროგრამები გათვალისწინებული.

2021 წლის დეკემბერში „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების მიხედვით არ არის შეცვლილი მხარჯავი დაწესებულებების რიცხოვნობა.

რაც შეეხება დაფინანსებას, 2021 წლის დეკემბერში „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების ოდენობა (15,050.8 მლნ ლარი) 1,434.6 მლნ ლარით აჭარბებს საწყისი წლიური გეგმით განსაზღვრულ მაჩვენებელს (13,616.2 მლნ ლარს). კერძოდ, დაფინანსება გაზრდილია 7 მხარჯავი დაწესებულების შემთხვევაში, შემცირებულია 3 მხარჯავი დაწესებულების შემთხვევაში, ხოლო დაფინანსება უცვლელი დარჩა 45 მხარჯავ დაწესებულებას.

კოდი	დასახელება	2021 საწყისი გეგმა	2021 წლიური გეგმა	2021 წლიური გეგმა / 2021 საწყისი გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
მხარჯავი დაწესებულებები რომელთა დაფინანსების წლიური გეგმები აღემატება საწყის გეგმებს					
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	5,493.0	6,468.9	975.9	17.8%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	451.6	628.6	177.0	39.2%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2,366.6	2,456.6	90.0	3.8%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	900.0	990.0	90.0	10.0%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,797.6	1,872.2	74.6	4.2%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	236.5	296.5	60.0	25.4%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	70.3	74.5	4.2	6.0%
მხარჯავი დაწესებულებები რომელთა დაფინანსების წლიური გეგმები ჩამორჩება საწყის გეგმებს					
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	606.8	585.2	-21.6	-3.6%
09 00	საერთო სასამართლოები	86.0	74.0	-12.0	-14.0%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	174.2	170.7	-3.5	-2.0%
სულ				1,434.6	

ცხრილი 12: მხარჯავი დაწესებულებები, რომელთა წლიური გეგმით გათვალისწინებული დაფინანსება განსხვავდება საწყისი გეგმით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან (მლნ ლარი, %).

2021 წლის განმავლობაში საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებების განხორციელების შედეგად²⁸, მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება, წლიური გეგმით დამტკიცებულ ასიგნებებთან მიმართებაში, ჯამურად გაიზარდა 79.0 მლნ ლარით და დაბუსტებულმა გეგმამ შეადგინა 15,129.8 მლნ ლარი (საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების იმავე ოდენობით შემცირების ხარჯზე). აღნიშნული მატება ძირითადად მოდის: საქართველოს იუსტიციის სამინისტროზე 34.6 მლნ ლარის ოდენობით,

²⁶ მხარჯავი დაწესებულება – სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებისთვის – პროგრამული კლასიფიკაციის პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის – მუნიციპალიტეტი; (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი)


²⁷ პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დატვირთულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება; (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი)

²⁸ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 31. ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაზე 17.3 მლნ ლარის ოდენობით და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიაზე 10.3 მლნ ლარის ოდენობით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 55 მხარჯავი დაწესებულებიდან, 39 მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტის ჯამური გადასახდელების დაზუსტება არ მომხდარა, გაიზარდა 15 მხარჯავი დაწესებულების დაფინანსება, ხოლო შემცირდა 1 მხარჯავი დაწესებულების დაფინანსება (დეტალურად იხილეთ დანართი №4).


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აღნიშნული 16 მხარჯავი დაწესებულების დაზუსტებული ბიუჯეტების ცვლილების პროცენტული მაჩვენებლები წლიურ გეგმასთან მიმართებით.



დიაგრამა 42: მხარჯავი დაწესებულებების 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის პროცენტული ცვლილების მაჩვენებლები დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით (ერთეული).

2021 წლის ბოლოს მხარჯავი დაწესებულებების ბიუჯეტების ჯამურმა შესრულებამ 15,225.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც საწყისი წლიური გეგმის 111.8%-ს, წლიური გეგმის 101.2%-ს და დაზუსტებული გეგმის 100.6%-ს წარმოადგენს. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული 55 მხარჯავი დაწესებულების გარდა, **საკასო ხარჯი დაფიქსირდა დამატებით 3 მხარჯავი დაწესებულების** (სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი და ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის) **ბიუჯეტის შესრულებაში** ჯამურად 1.8 მლნ ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეულ გადასახდელებს და მისი გეგმა არ აისახება დამტკიცებულ და დაზუსტებულ წლიურ გეგმებში. შესაბამისად, **2021 წლის წლიურ ანგარიშში 58 მხარჯავი დაწესებულება იქნა ასახული.**

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 55 მხარჯავი დაწესებულების 2021 წლის ბიუჯეტის შესრულებას, 1 მხარჯავი დაწესებულების შემთხვევაში ადგილი აქვს დაზუსტებული გეგმის 100%-ით შესრულებას, ხოლო 54 მხარჯავი დაწესებულების შესრულებიდან 10 შემთხვევაში ადგილი აქვს შესრულების გადაჭარბებას დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, ხოლო 44 შემთხვევაში - შესრულების ჩამორჩენას დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მხარჯავი დაწესებულებების რაოდენობა მათი 2021 წლის ბიუჯეტის შესრულებასა და დაზუსტებულ გეგმას შორის სხვაობის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით.



დიაგრამა 43: მხარჯავი დაწესებულებების რაოდენობა ბიუჯეტის შესრულებასა და დაზუსტებულ გეგმას შორის სხვაობის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით (ერთეული).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, უმეტეს შემთხვევაში შესრულებები დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით მნიშვნელოვანი გადახრებით არ გამოირჩევა. კერძოდ, 48 მხარჯავი დაწესებულების შემთხვევაში აღნიშნული გადახრები 0%-დან 15%-მდე მერყეობს.

რაც შეეხება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს²⁹, მხარჯავი დაწესებულებების, როგორც პროგრამის შემთხვევაში, დამტკიცებულ და დაზუსტებულ მარჯვენებლებს შორის კანონით გათვალისწინებულ 30%-იან სხვაობას ადგილი ჰქონდა მხოლოდ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის (პროგრამული კოდი 04 00) შემთხვევაში, რა დროსაც აღნიშნული პროგრამული კოდის დამტკიცებული ასიგნება (16.0 მლნ ლარი) გაიზარდა 17.3 მლნ ლარით (107.9%-ით) და 33.3 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება 15%-იან სხვაობას დაზუსტებულ გეგმასა და საკასო შესრულებებს შორის, აღნიშნულს ადგილი ქონდა 6 მხარჯავი დაწესებულების, როგორც პროგრამის, შემთხვევაში. კერძოდ, ესენია:

კოდი	დასახელება	2021 დაზუსტ. გეგმა	2021 ფაქტი	2021 ფაქტი / 2021 დაზუსტ. გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6.5	4.2	-2.3	-35.5%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	8.5	6.2	-2.3	-27.0%
51 00	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	9.0	7.1	-1.9	-21.0%
54 00	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	4.2	3.5	-0.7	-16.4%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.7	0.6	-0.1	-15.7%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1.4	2.2	0.8	55.7%

ცხრილი 13: მხარჯავი დაწესებულებები, როგორც პროგრამები, რომელთა 2021 წლის დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა აღემატება 15%-ს (მლნ ლარი, %).

შესრულების მარჯვენებლები პროგრამების დონეზე

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის როგორც საწყისი წლიური გეგმის, ასევე 2021 წლის დეკემბერში აღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილების მიხედვით განსაზღვრული იყო 127 პროგრამა³⁰.

საწყისი წლიური გეგმით 127 პროგრამისთვის განსაზღვრული ასიგნება 13,349.3 მლნ ლარს შეადგენდა. ხოლო, 2021 წლის დეკემბერში „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების მიხედვით - 14,783.9 მლნ ლარს (1,434.6 მლნ ლარით მეტს). კერძოდ, დაფინანსება გაზრდილია 25 პროგრამის შემთხვევაში, შემცირებულია - 6 პროგრამის შემთხვევაში, ხოლო 96 პროგრამის შემთხვევაში დაფინანსება საწყის და საბოლოოდ დამტკიცებულ წლიურ გეგმებს შორის უცვლელია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია იმ პროგრამების საწყისი და წლიური გეგმები, რომელთა დაფინანსებაც განსხვავდება თავდაპირველად (2020 წლის დეკემბერში) და საბოლოოდ (2021 წლის დეკემბერში) დამტკიცებული წლიური გეგმების მიხედვით.

²⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 56 „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“:
 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას: ე) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს; ვ) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

³⁰ აქ იგულისხმება მხოლოდ ის პროგრამები, რომლებიც წარმოადგენენ მხარჯავი დაწესებულების ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამებს. ხოლო იმ პროგრამებზე, რომლებიც ასევე წარმოადგენენ მხარჯავ დაწესებულებებს, მათზე ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების ქვეთავშია განხილული (38 პროგრამა/მხარჯავი დაწესებულება)

კოდი	დასახელება	2021 საწყისი გეგმა	2021 წლიური გეგმა	2021 წლიური გეგმა / 2021 საწყისი გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
პროგრამები რომელთა დაფინანსების წლიური გეგმები აღემატება საწყის გეგმებს					
27 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	1,548.6	2,365.0	816.4	52.7%
31 03	მევენახეობა-მელვინეობის განვითარება	49.8	152.8	103.0	206.8%
27 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	3,779.9	3,876.4	96.5	2.6%
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	244.4	334.4	90.0	36.8%
31 05	ერთიანი აგროპროექტი	206.7	280.7	74.0	35.8%
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	25.7	85.7	60.0	233.5%
29 09	ლოჯისტიკური უზრუნველყოფა	132.9	174.9	42.0	31.6%
27 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა	61.8	96.8	35.0	56.6%
27 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	30.0	58.0	28.0	93.3%
32 02	სკოლამდელი და ზოგადი განათლება	1,029.5	1,056.3	26.7	2.6%
29 01	თავდაცვის მართვა	339.8	361.3	21.6	6.3%
24 07	მენარმეობის განვითარება	302.2	322.2	20.0	6.6%
32 12	კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები	17.1	32.1	15.0	87.6%
32 07	ინფრასტრუქტურის განვითარება	137.8	151.8	14.0	10.2%
32 11	მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	122.4	136.4	14.0	11.4%
29 08	თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება	110.0	121.0	11.0	10.0%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	7.7	17.7	10.0	130.2%
29 03	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	60.7	69.0	8.3	13.6%
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	1,531.5	1,538.9	7.4	0.5%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	40.8	45.0	4.2	10.3%
32 10	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	30.2	33.7	3.5	11.6%
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	80.0	83.0	3.0	3.8%
29 02	პროფესიული სამხედრო განათლება	52.3	54.5	2.2	4.2%
29 07	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	33.5	35.5	2.0	6.0%
32 09	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	69.5	70.8	1.3	1.9%
პროგრამები რომელთა დაფინანსების წლიური გეგმები ჩამორჩება საწყის გეგმებს					
24 20	ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული კარანტინისა და სხვა ღონისძიებების განხორციელება	50.0	21.0	-29.0	-58.0%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	28.7	6.1	-22.6	-78.8%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	84.1	72.1	-12.0	-14.3%
25 05	მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	41.0	33.7	-7.4	-17.9%
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	173.4	169.9	-3.5	-2.0%
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	348.7	348.6	-0.05	-0.01%
სულ				1,434.6	


ცხრილი 14: პროგრამები, რომელთა წლიური გეგმით გათვალისწინებული დაფინანსება განსხვავდება საწყისი გეგმით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან (მლნ ლარი, %).

2021 წლის განმავლობაში საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებების განხორციელების შედეგად პროგრამების დაფინანსება ჯამურად გაიზარდა 60.3 მლნ ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14,844.2 მლნ ლარი. საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ასიგნება განისაზღვრა დამატებით 2 პროგრამაზე, რომელთა დაფინანსებაც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, შესაბამისად, **სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა მოიცავს 129 პროგრამას.**

დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული, 127 პროგრამიდან 26 პროგრამას წლის განმავლობაში საბიუჯეტო კოდექსით განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად უცვლელი დარჩა წლიური გეგმა, 54 პროგრამას გაეზარდა დაფინანსება, ხოლო 47 პროგრამას შეუმცირდა დაფინანსება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ პროგრამების რაოდენობა, რომელთაც 2021 წლის განმავლობაში გაეზარდათ დაფინანსება წლიურ გეგმასთან მიმართებით.

პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაზუსტებული გეგმა გაიზარდა წლიურ გეგმასთან მიმართებით




დიაგრამა 44: პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაზუსტებული გეგმა გაიზარდა წლიურ გეგმასთან მიმართებით (ერთეული).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, უმეტეს შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი პროგრამების დაფინანსების მკვეთრ მატებებს, თუმცა 1 პროგრამის შემთხვევაში დაფინანსების ზრდა აჭარბებს 100%-ს, ხოლო 1 პროგრამის შემთხვევაში დაფინანსების ზრდა 85.7%-ს შეადგენს.

რაც შეეხება პროგრამების დაფინანსების შემცირებას, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ პროგრამების რაოდენობა, რომელთაც 2021 წლის განმავლობაში შემცირდათ დაფინანსება წლიურ გეგმასთან მიმართებით.

პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაზუსტებული გეგმა შემცირდა წლიურ გეგმასთან მიმართებით



დიაგრამა 45: პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაზუსტებული გეგმა შემცირდა წლიურ გეგმასთან მიმართებით (ერთეული).

მსგავსად პროგრამების დაფინანსების მატებებისა, პროგრამების დაფინანსების შემცირების უმეტეს შემთხვევაშიც არ ჰქონია ადგილი მკვეთრ შემცირებებს, 1 პროგრამის შემთხვევაში შემცირება 48.5%-ს უტოლდება.

რაც შეეხება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს³¹ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობის თაობაზე, 14 პროგრამის შემთხვევაში (2 ახალი პროგრამა, 8 ზრდის მიმართულებით და 4 კლების მიმართულებით) აღნიშნული შეუსაბამობა აღემატებოდა 30%-ს.

³¹ საბიუჯეტო კოდექსი. მუხლი 56 „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“:
 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას: ე) მხარტავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;


კოდი	დასახელება	2021 წლიური გეგმა	2021 დაბუსტ. გეგმა	2021 დაბუსტ. გეგმა / 2021 წლიური გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
პროგრამები, რომელთა დაფინანსება არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებული ბიუჯეტით და საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან					
32 19	თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB)	-	0.9	0.9	
40 03	სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო	-	0.01	0.01	
პროგრამები, რომელთა დაფინანსება, წლიურ გეგმასთან მიმართებით, გაიზარდა 30%-ზე მეტით					
31 10	ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	0.6	1.5	0.9	137.8%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	3.0	5.6	2.6	85.7%
31 08	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	15.2	22.0	6.8	44.8%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	13.5	19.5	6.0	44.1%
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	85.7	119.0	33.3	38.9%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	18.7	24.8	6.1	32.5%
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	2.5	3.3	0.8	32.0%
31 01	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	10.1	13.1	3.0	30.3%
პროგრამები, რომელთა დაფინანსება, წლიურ გეგმასთან მიმართებით, შემცირდა 30%-ზე მეტით					
24 17	ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება	1.5	0.8	-0.7	-48.5%
27 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა	96.8	60.3	-36.6	-37.8%
29 06	საერთაშორისო სამშვიდობო მისიები	33.0	20.9	-12.1	-36.8%
27 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	58.0	40.4	-17.6	-30.4%

ცხრილი 15: პროგრამები, რომელთა 2021 წლის დამტკიცებულ და დაბუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა აღემატება 30%-ს (მლნ ლარი, %).

2021 წლის ბოლოს პროგრამების შესრულებამ შეადგინა 14,949.4 მლნ ლარი, რაც საწყისი წლიური გეგმის 112.0%-ს, წლიური გეგმის 101.1%-ს და დაბუსტებული გეგმის 100.7%-ს შეადგენს. წლიური დაბუსტებული გეგმით განსაზღვრული 129 პროგრამიდან 19 პროგრამის შესრულებამ დაბუსტებული გეგმის 100% შეადგინა, 34 პროგრამის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა შესრულების მაჩვენებლის გადაჭარბებას დაბუსტებულ გეგმასთან მიმართებით, 76 პროგრამის შემთხვევაში - შესრულების მაჩვენებლის ჩამორჩენას დაბუსტებულ გეგმასთან მიმართებით. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული 129 პროგრამის გარდა, საკასო ხარჯი დაფიქსირდა დამატებით 1 პროგრამის („სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ პროგრამული კოდი - 26 10) ბიუჯეტის შესრულებაში 1.2 მლნ ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს მიზნობრივი გრანტის ფარგლებში განეულ გადასახდელებს და მისი გეგმა არ აისახება დამტკიცებულ და დაბუსტებულ წლიურ გეგმებში. შესაბამისად, 2021 წლის წლიურ ანგარიშში 130 პროგრამა იქნა ასახული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ პროგრამების რაოდენობა, შესრულებასა და დაბუსტებული გეგმას შორის სხვაობის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელთა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება აჭარბებს დაბუსტებულ გეგმას (ჯამურად 34 პროგრამა).


პროგრამების რაოდენობა, შესრულებასა და დაბუსტებული გეგმას შორის სხვაობის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელთა შესრულება აჭარბებს დაბუსტებულ გეგმას



დიაგრამა 46: პროგრამების რაოდენობა, შესრულებასა და დაბუსტებული გეგმას შორის სხვაობის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელთა შესრულება აჭარბებს დაბუსტებულ გეგმას (ერთეული).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით პროგრამების შესრულების გადაჭარბების უმეტეს შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა მკვეთრ გადაჭარბებებს გარდა რამოდენიმე შემთხვევისა.

რაც შეეხება პროგრამების შესრულების ჩამორჩენას დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ პროგრამების რაოდენობა, შესრულებასა და დაზუსტებული გეგმას შორის სხვაობის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელთა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება ჩამორჩება დაზუსტებულ გეგმას (ჯამურად 76 პროგრამა).



დიაგრამა 47: პროგრამების რაოდენობა შესრულებასა და დაზუსტებული გეგმას შორის სხვაობის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელთა შესრულება ჩამორჩება დაზუსტებულ გეგმას (ერთეული).

მსგავსად პროგრამების შესრულების დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით გადაჭარბებისა, პროგრამების შესრულების ჩამორჩენების უმეტეს შემთხვევაშიც არ ჰქონია ადგილი მკვეთრ გადახრებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც არის რამოდენიმე გამონაკლისი.

რაც შეეხება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს³² დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობის თაობაზე, 20 პროგრამის შემთხვევაში (1 ახალი პროგრამა, 11 გადაჭარბება და 8 ჩამორჩენა) აღნიშნული შეუსაბამობა აღემატებოდა 15%-ს.

კოდი	დასახელება	2021 დაზუსტ. გეგმა	2021 ფაქტი	2021 ფაქტი / 2021 დაზუსტ. გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
პროგრამა, რომელთა დაფინანსება არ იყო გათვალისწინებული დაზუსტებული ბიუჯეტით და ბიუჯეტის შესრულებაში დაფიქსირდა საკასო ხარჯი					
26 10	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	-	1.2	1.2	
პროგრამები, რომელთა შესრულების გადაჭარბება დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით აღემატება 15%-ს					
31 13	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია	5.0	15.9	10.9	217.7%
24 13	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)	32.0	60.9	28.9	90.3%
27 01	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	63.9	82.7	18.9	29.6%
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	51.5	66.7	15.2	29.5%
31 11	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და "განათლება მდგრადი განვითარებისთვის" ხელშეწყობის პროგრამა	4.8	6.0	1.2	23.8%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	0.9	1.1	0.2	22.8%
31 14	კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა	4.6	5.6	1.0	21.5%
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	3.9	4.6	0.8	19.8%
31 09	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	8.3	9.7	1.4	17.0%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	19.5	22.7	3.3	16.8%
31 06	სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია	68.9	80.3	11.4	16.5%
პროგრამები, რომელთა შესრულების ჩამორჩენა დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით აღემატება 15%-ს					
32 14	პროფესიული განათლება I (KfW)	6.5	0.5	-6.0	-92.2%
26 09	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	15.4	7.9	-7.5	-48.5%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1.9	1.1	-0.8	-40.6%

³² საბიუჯეტო კოდექსი. მუხლი 56 „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“:
 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას: ვ) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;


24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	6.2	4.5	-1.7	-28.0%
29 10	საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	50.0	37.6	-12.4	-24.9%
32 13	ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)	26.5	20.0	-6.5	-24.4%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.0	0.8	-0.2	-23.6%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	53.7	45.4	-8.3	-15.5%

ცხრილი 16: პროგრამები, რომელთა 2021 წლის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა აღემატება 15%-ს (მლნ ლარი, %).

კაპიტალური პროექტები


2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული კაპიტალური პროექტების შესრულებამ შეადგინდა 2,730.6 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის (2,817.3 მლნ ლარი) 96.9%-ს, ხოლო დაზუსტებული გეგმის (2,687.5 მლნ ლარი) 101.6%-ს შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია რომ 2021 წელს კაპიტალურ პროექტებზე გაწეული ხარჯიდან 1,231.1 მლნ ლარი მოდის დონორების მიერ დაფინანსებულ სახსრებზე, საიდანაც 1,215.6 მლნ ლარი კრედიტზე, ხოლო 15.4 მლნ ლარი გრანტზე მოდის.

2021 წელს კაპიტალურ პროექტებზე გაწეული ხარჯის 83.4% მოდის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (2,277.4 მლნ ლარი), საიდანაც „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 25 02)“ მიიმართა 1,446.5 მლნ ლარი, „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (პროგრამული კოდი 25 03)“ – 337.8 მლნ ლარი და „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე (პროგრამული კოდი 25 04)“ – 269.7 მლნ ლარი.



დიაგრამა 48: 2021 წლის კაპიტალური პროექტები სამინისტროებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით (მლნ ლარი).

2012-2021 წლებში კაპიტალური პროექტების შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2021 წელს დაფიქსირდა და 2020 წლის მონაცემს 215.0 მლნ ლარით (8.5%) აღემატება, რაც შეეხება საშუალო ზრდის ტემპს, 2013-2021 წლებში კაპიტალურ პროექტებზე მიმართული სახსრების საშუალო ზრდის ტემპი 13.6%-ს შეადგენს.




დიაგრამა 49: 2012-2021 წლებში კაპიტალურ პროექტებზე მიმართული სახსრები (მლნ ლარი).

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების დამტკიცებული ჯამური მოცულობა განისაზღვრა 4,745.3 მლნ ლარის დონეზე, რომელთა შორის ყველაზე მოცულობითია: „საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი - 56 01)“ – 2,963.0 მლნ ლარი; „საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი - 56 02)“ – 550.0 მლნ ლარი; „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (პროგრამული კოდი - 56 07)“ – 410.0 მლნ ლარი; „დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი - 56 11)“ - 236.0 მლნ ლარი; „ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერები“ (პროგრამული კოდი - 56 04)“ - 226.0 მლნ ლარი და „დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები (პროგრამული კოდი - 56 13)“ - 219.9 მლნ ლარი.

„საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის“ დაბუსტებულმა გეგმამ, 2021 წლის ბოლოსთვის, შეადგინა 2,938.5 მლნ ლარი, ხოლო შესრულებამ - 2,936.8 მლნ ლარი, რაც დაბუსტებული გეგმის 99.9%-ს წარმოადგენს. აღნიშნული შესრულებიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მიიძღრათა 2,653.1 მლნ ლარი, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე - 283.7 მლნ ლარი. 2012-2021 წლებში „საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“ ყველაზე მაღალ ნიშნულს 2021 წლისთვის აღწევს. რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ 2021 წლის აპრილში მოხდა 2011 წელს გამოშვებული 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 10 წლიანი ფასიანი ქაღალდების (ევრობონდების) დაფარვა, რომელმაც, 1,706.7 მლნ ლარი შეადგინა.


საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2012-2021 წლებში



დიაგრამა 50: საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის წილს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში, 2012-2021 წლებში მათი ჯამი ყველაზე მაღალ ნიშნულს 2021 წლისთვის აღწევს (14.8%), საიდანაც 13.4 პროცენტული პუნქტი მოდის ძირითადი თანხის დაფარვაზე, ხოლო 1.4 პროცენტული პუნქტი - მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე.


საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის წილი გადასახდელებში 2012-2021 წლებში



დიაგრამა 51: საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის წილი გადასახდელებში 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

„საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის“ დაბუსტებულმა გეგმამ, 2021 წლის ბოლოსთვის, შეადგინა 548.4 მლნ ლარი, ხოლო შესრულებამ - 546.6 მლნ ლარი, რაც დაბუსტებული გეგმის 99.7%-ს წარმოადგენს. აღნიშნული შესრულებიდან საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მიიძარათა 40.0 მლნ ლარი, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე - 506.6 მლნ ლარი.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება, დაფარვა და მათი წილი გადასახდელებში 2012-2021 წლებში




დიაგრამა 52: საშინაო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურება, დაფარვა და მათი წილი გადასახდელებში 2012-2021 წლებში (მლნ ლარი, %)

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ 2021 წლის დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 410.0 მლნ ლარის ოდენობით, საიდანაც შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე ასიგნებები გადანაწილდა ქვეპროგრამაზე „მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (პროგრამული კოდი - 56 04 02)“, აღნიშნული ფონდიდან გადანაწილებული ასიგნებების შესრულებამ 401.8 მლნ ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ დამტკიცებული მოცულობების და ათვისებების შესახებ ინფორმაცია:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2012-2021 წლებში



დიაგრამა 53: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

„დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების“ 2021 წლის დაბუსტებულმა გეგმამ 219.9 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო შესრულებამ - 168.0 მლნ ლარი, რაც დაბუსტებული გეგმის 76.4%-ს წარმოადგენს. აღნიშნული შესრულებიდან 74.4% მოდის „თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD)“ შესრულებაზე - 125.0 მლნ ლარის ოდენობით.

„დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების“ 2021 წლის დაბუსტებული გეგმა 236.0 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა და შესრულებამაც 236.0 მლნ ლარი შეადგინა.


„ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების (პროგრამული კოდი 56 04)“ დაზუსტებულმა გეგმამ 646.8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო შესრულებამ - 634.3 მლნ ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98.1%-ს წარმოადგენს. გარდა ზემოაღნიშნული პროგრამული კოდისა, 47.9 მლნ ლარის ოდენობის ტრანსფერი მიიმართა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში შემდეგი პროგრამული კოდებიდან: „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში (პროგრამული კოდი 56 14)“ - 25.9 მლნ ლარი, „თბილისის ავტობუსების პროექტი (ფაზა II) (EBRD) (პროგრამული კოდი 56 13 06)“ - 19.2 მლნ ლარი, „თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD)“ (პროგრამული კოდი 56 13 04)“ - 1.2 მლნ ლარი, „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - IV ფაზა (KfW) (პროგრამული კოდი 56 13 01)“ - 1.1 მლნ ლარი და „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - III ფაზა (EU, KfW) (პროგრამული კოდი 56 13 08)“ - 0.4 მლნ ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წელს ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 682.2 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 439.2 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 231.0 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 12.0 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ანალიზისას საინტერესოა „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდისა“ და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის“ შესრულების მაჩვენებლები 2021 წლისთვის.

„საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის“ დამტკიცებული ოდენობა განსაზღვრული იყო 40.0 მლნ ლარის ოდენობით და შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე სხვადასხვა პროგრამებზე იქნა გადანაწილებული. 2021 წლის ბოლოსთვის „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის“ შესრულებამ შეადგინა 43.1 მლნ ლარი, რომლის ათვისება მოხდა შემდეგი მხარჯავი დაწესებულებების/პროგრამების ფარგლებში: „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია (პროგრამული კოდი 04 00)“ - 16.8 მლნ ლარი; „არჩვენების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 04)“ - 9.9 მლნ ლარი; „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (პროგრამული კოდი 30 00)“ - 5.3 მლნ ლარი; „სახელმწიფო ფინანსების მართვა“ (პროგრამული კოდი 23 01)“ - 3.6 მლნ ლარი; „თავდაცვის მართვა (პროგრამული კოდი 29 01)“ - 1.4 მლნ ლარი; „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია“ (პროგრამული კოდი 02 00)“ - 1.1 მლნ ლარი; „სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი 20 01)“ - 1.0 მლნ ლარი; „სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა“ (პროგრამული კოდი 40 02)“ - 1.0 მლნ ლარი; „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)“ - 0.9 მლნ ლარი; „ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (პროგრამული კოდი 56 04)“ - 0.9 მლნ ლარი; „საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)“ - 0.5 მლნ ლარი; „რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 25 01)“ - 0.3 მლნ ლარი; „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 27 01)“ - 0.2 მლნ ლარი; „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება“ (პროგრამული კოდი 26 02)“ - 0.1 მლნ ლარი; „საქართველოს პროკურატურა“ (პროგრამული კოდი 33 00)“ - 0.1 მლნ ლარი და „ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი - 29 09)“ - 27.3 ათასი ლარი.

2021 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ათვისებული თანხების მიზნობრიობა




- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 30 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის დაფინანსების მიზნით
- საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით ქვეყნის მასშტაბით ჩასატარებელი საახალწლო და წლის დასრულებასთან დაკავშირებით გასამართი ღონისძიებებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთათვის ფულადი კილდოს გაცემის მიზნით
- საქართველოს ახალი ევრობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების და მასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების დასაფინანსებლად
- საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების პროცესის მხარდასაჭერად, ასევე აშშ-ში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლებისა და ქვეყნის სათანადოდ წარმოჩენის პროცესში დახმარების მიზნით აუცილებელი საკონსულტაციო მომსახურების შეძენის ხარჯებ
- სხვა დანარჩენი ხარჯების დაფინანსება

დიაგრამა 54: 2021 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ათვისებული თანხების მიზნობრიობა (მლნ ლარი).

2021 წელს „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის“ შესრულების მაჩვენებელი (43.1 მლნ ლარი) არის შესრულების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2012-2021 წლებში. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის“ დამტკიცებული მოცულობების და ათვისებების შესახებ ინფორმაცია:

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2012-2021 წლებში




დიაგრამა 55: საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

რაც შეეხება „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდს“, აღნიშნული ფონდის დამტკიცებული ოდენობა განსაზღვრული იყო 15.0 მლნ ლარის ოდენობით და 2021 წლის ბოლოსთვის შესრულებამაც 15.0 მლნ ლარი შეადგინა, რომლის ათვისება მოხდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში: „მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერები (პროგრამული კოდი - 56 04 02)“ – 12.0 მლნ ლარი და „ერთიანი აგროპროექტი (პროგრამული კოდი - 31 05)“- 3.0 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ ათვისებული სახსრების მიზნობრიობა:


2021 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ათვისებული თანხების მიზნობრიობა



დიაგრამა 56: 2021 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ათვისებული თანხების მიზნობრიობა (მლნ ლარი).

2021 წელს „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის“ შესრულება ჩამორჩება გასული წლების მაჩვენებლებს, გარდა 2018 წლისა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2016-2021 წლებში ზემოაღნიშნული ფონდის დამტკიცებული მოცულობების და ათვისებების შესახებ ინფორმაცია:

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2016-2021 წლებში



დიაგრამა 57: მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2016-2021 წლებში (მლნ ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო


ნაშთის ცვლილება

2021 წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 2,311.4 მლნ ლარი. წლის ბოლოსათვის, ნაშთის გამოყენების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთის მოცულობამ შეადგინა 881.5 მლნ ლარი. საანგარიშო პერიოდში კი სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა **1,429.8 მლნ ლარი**. კერძოდ:

- 2021 წლის თავდაპირველი ბიუჯეტის კანონით შემოსულობები 16,758.1 მლნ ლარით, გადასახდელები კი 18,384.5 მლნ ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, დაიგეგმა ბიუჯეტის ნაშთის გამოყენება 1,626.4 მლნ ლარის ოდენობით. დეკემბერში ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა 18,099.1 მლნ ლარამდე და გადასახდელების გეგმა 19,796.1 მლნ ლარამდე გაიზარდა, ნაშთის გამოყენების მაჩვენებელი კი - 1,697.0 მლნ ლარამდე.
- წლის განმავლობაში დაფიქსირდა შემოსულობების მობილიზების მაღალი მაჩვენებელი (დამტკიცებულ მოცულობასთან შედარებით 278.5 მლნ ლარით მეტი). დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, გადაჭარბებით (11.4 მლნ ლარით მეტი) არის შესრულებული გადასახდელები. შედეგად, წლის ბოლოს ნაშთის გამოყენების მაჩვენებელმა, დაგეგმილი 1,697.0 მლნ ლარის ნაცვლად, 267.2 მლნ ლარით ნაკლები, 1,429.8 მლნ ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2012-2021 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2012-2021 წლებში




დიაგრამა 58: სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა -1,447.6 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - -3,779.2 მლნ ლარი. 2012-2021 წლებში, როგორც საოპერაციო სალდოს, ასევე, მთლიანი სალდოს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2020 წელს, რაც დაკავშირებულია, წინა წლებთან შედარებით, როგორც შემოსავლების შემცირებასთან, ასევე, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტების ზრდასთან.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2012-2021 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო 2012-2021 წლებში



დიაგრამა 59: სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2012-2021 წლებში (მლნ ლარი).

დანართები

დანართი 1: ცენტრალური ბიუჯეტის³³ შესრულების მიმოხილვა

2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 18,377.7 მლნ ლარი, ხოლო გადასახდელებმა - 19,807.5 მლნ ლარი. ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლების ფარგლებში³⁴ შემოსულობებმა შეადგინა 1,478.1 მლნ ლარი, ხოლო გადასახდელებმა - 1,404.7 მლნ ლარი.

ამასთან, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართულ საკუთარ შემოსავლებში ასახულია 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტში გადარიცხული 160.4 მლნ ლარის ოდენობის მიმდინარე გრანტი და 48.0 მლნ ლარის ოდენობის კაპიტალური გრანტი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები კი მოიცავს „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის³⁵ შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში სსიპ-ების მიერ ჩარიცხულ 143.4 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტში და სსიპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული სახსრების კონსოლიდაციის გათვალისწინებით (ჯამურად 351.8 მლნ ლარი), საქართველოს 2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 19,504.0 მლნ ლარი, გადასახდელებმა - 20,860.4 მლნ ლარი და ნაშთის გამოყენებამ -1,356.4 მლნ ლარი.

	2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტი ³⁶	სახელმწიფო ბიუჯეტი	სსიპ-ების/ ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები
შემოსულობები	19,504.0	18,377.7	1,478.1
შემოსავლები	13,843.1	12,750.3	1,444.7
არაფინანსური აქტივების კლება	212.6	212.6	0.02
ფინანსური აქტივების კლება	175.8	163.3	12.5
ვალდებულებების ზრდა	5,272.5	5,251.5	21.0
გადასახდელები	20,860.4	19,807.5	1,404.7
ხარჯები	15,065.2	14,197.9	1,219.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,714.2	2,544.2	170.0
ფინანსური აქტივების ზრდა	333.2	323.2	10.0
ვალდებულებების კლება	2,747.8	2,742.3	5.6
ნაშთის ცვლილება	-1,356.4	-1,429.8	73.4

ცხრილი 17: 2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულება (მლნ ლარი).

რაც შეეხება ცენტრალური ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2021 წელს ცენტრალური ბიუჯეტის საოპერაციო სალდო -1,222.1 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო მთლიანი სალდო - -3,723.6 მლნ ლარით.

³³ ცენტრალური ბიუჯეტი - სახელმწიფო ბიუჯეტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (რომელიც შექმნილია/დაფუძნებულია შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით, ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (რომელიც შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ) ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი, რომელიც არ ექვემდებარება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

³⁴ ცენტრალური ბიუჯეტის ფარგლებში არსებულ სსიპ-ების/ა(ა)იპ-ებს შორის გადარიცხული სახსრები დაკონსოლიდირებულია წარმოდგენილ მონაცემებში.

³⁵ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა მის მიერ 2021 წელს მობილიზებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლების არანაკლებ 10% მიმართოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

³⁶ 2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტის სვეტში, როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების ნაწილში დაკონსოლიდირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტში და ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული სახსრები ჯამურად 351.8 მლნ ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020-2021 წლების ცენტრალური ბიუჯეტის ბალანსი.

დასახელება	2020 წლის ცენტრალური ბიუჯეტი	2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტი	2021 წელი / 2020 წელი	
			სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	11,482.0	13,843.1	2,361.1	20.6%
გადასახადები	9,364.8	11,439.5	2,074.7	22.2%
გრანტები	413.7	343.4	-70.2	-17.0%
სხვა შემოსავლები	1,703.5	2,060.2	356.7	20.9%
ხარჯები	13,277.5	15,065.2	1,787.7	13.5%
შრომის ანაზღაურება	1,947.5	2,098.3	150.8	7.7%
საქონელი და მომსახურება	1,924.2	2,290.0	365.8	19.0%
პროცენტი	766.8	800.8	34.0	4.4%
სუბსიდიები	851.4	868.1	16.7	2.0%
გრანტები	772.2	747.1	-25.1	-3.3%
სოციალური უზრუნველყოფა	5,354.3	6,095.0	740.7	13.8%
სხვა ხარჯები	1,661.0	2,165.8	504.8	30.4%
საოპერაციო სალდო	-1,795.5	-1,222.1	573.5	-31.9%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,339.0	2,501.5	162.6	7.0%
ზრდა	2,448.6	2,714.2	265.6	10.8%
კლება	109.6	212.6	103.0	94.0%
მთლიანი სალდო	-4,134.5	-3,723.6	410.9	-9.9%
ფინანსური აქტივების ცვლილება	2,234.2	-1,199.0	-3,433.2	-153.7%
ზრდა	2,431.5	406.6	-2,024.8	-83.3%
კლება	197.3	1,605.6	1,408.3	713.9%
ვალდებულებების ცვლილება	6,368.7	2,524.6	-3,844.1	-60.4%
ზრდა	7,317.3	5,272.5	-2,044.8	-27.9%
საშინაო	2,053.0	-285.5	-2,338.5	-113.9%
საგარეო	5,264.3	5,558.0	293.7	5.6%
კლება	948.6	2,747.8	1,799.2	189.7%
საშინაო	46.7	92.0	45.3	97.1%
საგარეო	901.9	2,655.8	1,753.9	194.5%
ბალანსი	0.0	0.0		

ცხრილი 18: 2020-2021 წლებში ცენტრალური ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი, %).

ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტის კონსოლიდირებულმა შემოსულობებმა **19,504.0 მლნ ლარი** შეადგინა, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების მიერ ჩარიცხული გრანტის გარდა (143.4 მლნ ლარი), შეადგენს 18,234.2 მლნ ლარს, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებული შემოსულობები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების გარდა (208.4 მლნ ლარი), შეადგენს 1,269.7 მლნ ლარს.

საქართველოს 2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტის კონსოლიდირებული შემოსულობები 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (19,106.2 მლნ ლარს) **397.8 მლნ ლარით (2.1%-ით)** აღემატება. აღნიშნული მატებიდან 242.5 მლნ ლარი მოდის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებზე. ხოლო, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებული შემოსულობები გაზრდილია 155.3 მლნ ლარის ოდენობით.

	2020 წლის ცენტრალური ბიუჯეტი	2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტი	2021 წელი / 2020 წელი	
			სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	19,106.2	19,504.0	397.8	2.1%
შემოსავლები	11,482.0	13,843.1	2,361.1	20.6%
არაფინანსური აქტივების კლება	109.6	212.6	103.0	94.0%
ფინანსური აქტივების კლება	197.3	175.8	-21.5	-10.9%
ვალდებულებების ზრდა	7,317.3	5,272.5	-2,044.8	-27.9%

ცხრილი 19: ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობები 2020-2021 წლებში (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება შემოსულობების გადანაწილებას სახელმწიფო ბიუჯეტსა და სსიპ-ებს/ა(ა)იპ-ებს შორის, 2021 წელს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობების 93.5% მოდის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებზე, ხოლო 6.5% - ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებულ შემოსულობებზე. აღნიშნული გადანაწილება 2020 წლისთვის შესაბამისად შეადგენდა 94.2%-ს და 5.8%-ს.

ცენტრალური ბიუჯეტის 2021 წლის შემოსულობების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის (შემოსულობების 71.0%), შემოსავლების, შესრულებამ 13,843.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2020 წლის მონაცემს მნიშვნელოვნად, 2,361.1 მლნ ლარით (20.6%-ით) აღემატება, თითქმის გაორმაგებულია არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის მაჩვენებელი, რომელიც 2020 წელს 109.6 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო 2021 წელს 212.6 მლნ ლარი (94%-ით მეტი) შეადგინა. 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, შემცირებულია ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის კომპონენტის მაჩვენებლები. კერძოდ, ფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება 175.8 მლნ ლარს შეადგენს, რაც 21.5 მლნ ლარით (10.9%-ით) ჩამორჩება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ხოლო, ვალდებულებების ზრდის კომპონენტის შესრულებამ 5,272.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 2,044.8 მლნ ლარით (27.9%-ით) ნაკლებია, ვალდებულებების ზრდის კომპონენტის შემცირება სრულად მოდის საშინაო ვალდებულებებზე.

ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დეტალური ანალიზი დოკუმენტის შესაბამის თავებშია წარმოდგენილი, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მიმოხილვისას საინტერესოა ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებული შემოსულობების ანალიზი.

2021 წელს სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა **1,478.1 მლნ ლარი**, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 208.4 მლნ ლარს. 2021 წლის მაჩვენებელი 2020 წლის მონაცემს (1,353.9 მლნ ლარი) 124.2 მლნ ლარით (9.2%-ით) აღემატება, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტის სახით მიღებულმა შემოსავალმა 239.5 მლნ ლარი (2021 წელთან შედარებით 31.1 მლნ ლარით მეტი) შეადგინა. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავლის გარდა 2021 წლისთვის ზრდა 155.3 მლნ ლარს (13.9%-ს) შეადგენს.

	2020 წელს სსიპების/ა(ა)იპების შემოსულობები	2021 წელს სსიპების/ა(ა)იპების შემოსულობები	2020 წლის შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების გარეშე	2021 წლის შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების გარეშე	სხვაობა (2021 წელი / 2020 წელი)	
					გრანტების ჩათვლით	გრანტების გარეშე
შემოსულობები	1,353.9	1,478.1	1,114.5	1,269.7	124.2	155.3
შემოსავლები	1,281.7	1,444.7	1,042.2	1,236.3	163.0	194.1
გადასახადები	-	-	-	-	-	-
გრანტები	243.2	208.1	4.7	-0.3	-35.1	-5.0
სხვა შემოსავლები	1,038.5	1,236.5	1,037.5	1,236.5	198.1	199.1
არაფინანსური აქტივების კლება	11.5	0.02	11.5	0.02	-11.4	-11.4
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	33.9	12.5	33.9	12.5	-21.4	-21.4
ვალდებულებების ზრდა	26.9	21.0	26.9	21.0	-6.0	-6.0
საშინაო	26.9	21.0	26.9	21.0	-6.0	-6.0
საგარეო	-	-	-	-	-	-

ცხრილი 20: ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებული შემოსულობები 2020-2021 წლებში (მლნ ლარი).

როგორც ცხრილშია წარმოდგენილი 2021 წელს მიღებული შემოსულობის დიდი წილი (შემოსულობების 97.7%) მოდის **შემოსავლებზე**. შემოსავლების სახით 2021 წელს მიღებულია 1,444.7 მლნ ლარი, საიდანაც 208.1 მლნ ლარი წარმოადგენს გრანტების სახით მიღებულ შემოსავლებს, ხოლო 1,236.5 მლნ ლარი - სხვა შემოსავლებს. 2021 წელს მიღებული შემოსავლები 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (1,281.7 მლნ ლარს) 163.0 მლნ ლარით (12.7%-ით) აღემატება, ხოლო თუ 2020 და 2021 წლების მაჩვენებლებიდან ამოვრიცხავთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ გრანტებს, შემოსავლების ზრდა 194.1 მლნ ლარით (18.6%-ით) განისაზღვრება.

2021 წელს **არაფინანსური აქტივების კლების** მუხლით მიღებული შემოსულობა 21.0 ათას ლარს შეადგენს. 2020 წელს ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში აღნიშნული მუხლით მნიშვნელოვანი თანხების (11.5 მლნ ლარი) მიღება მოხდა.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით, 2021 წელს, მობილიზებულია 12.5 მლნ ლარი, რაც 21.4 მლნ ლარით ჩამორჩება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

რაც შეეხება შემოსულობების მეოთხე კომპონენტს, **ვალდებულებების ზრდას**, 2021 წელს ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელმა 21.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 6.0 მლნ ლარით (22.1%-ით). ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლებში ვალდებულებების ზრდა მოხდა მხოლოდ საშინაო წყაროდან.

ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელები

საქართველოს 2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტის კონსოლიდირებულმა გადასახდელებმა **20,860.4 მლნ ლარი** შეადგინა, მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებისთვის/ა(ა)იპ-ებისთვის ჩარიცხული გრანტის გარდა (208.4 მლნ ლარი), შეადგენს 19,599.1 მლნ ლარს, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელები, სახელმწიფო ბიუჯეტში „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე ჩარიცხული გრანტების გარდა (143.4 მლნ ლარი), შეადგენს 1,261.2 მლნ ლარს.

საქართველოს 2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტის კონსოლიდირებული გადასახდელები 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (17,113.3 მლნ ლარს) **3,747.1 მლნ ლარით (21.9%-ით)** აღემატება. ძირითადი მატება მოდის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე 3,664.0 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების მატება 83.1 მლნ ლარს შეადგენს.

	2020 წლის ცენტრალური ბიუჯეტი	2021 წლის ცენტრალური ბიუჯეტი	2021 წელი / 2020 წელი	
			სხვაობა	%-ული ცვლილება
გადასახდელები	17,113.3	20,860.4	3,747.1	21.9%
ხარჯები	13,277.5	15,065.2	1,787.7	13.5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,448.6	2,714.2	265.6	10.8%
ფინანსური აქტივების ზრდა	438.5	333.2	-105.4	-24.0%
ვალდებულებების კლება	948.6	2,747.8	1,799.2	189.7%

ცხრილი 21: ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელები 2020-2021 წლებში (მლნ ლარი, %).

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელები გაზრდილია 21.9%-ით, გადასახდელების სახელმწიფო ბიუჯეტსა და სსიპ-ებს/ა(ა)იპ-ებს შორის პროცენტული გადანაწილება მცირედით არის შეცვლილი. კერძოდ, 2021 წელს ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელების 94.0% მოდის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე, ხოლო 6.0% - ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეულ გადასახდელებზე. აღნიშნული გადანაწილება 2020 წლისთვის შესაბამისად შეადგენდა 93.1%-ს და 6.9%-ს.

რაც შეეხება ცენტრალური ბიუჯეტის 2021 წლის გადასახდელებს კომპონენტების მიხედვით, გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის (გადასახდელების 72.2%), ხარჯების, შესრულებამ 15,065.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2020 წლის მონაცემს 1,787.7 მლნ ლარით (13.5%-ით) აღემატება, არაფინანსური აქტივების ზრდის 2021 წლის მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია 265.6 მლნ ლარით და 2,714.2 მლნ ლარს შეადგენს. 2020 წელთან შედარებით შემცირებულია ფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული სახსრები და 2021 წლისთვის 333.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 105.4 მლნ ლარით (24.0%-ით) ჩამორჩება. 2021 წელს მკვეთრად არის გაზრდილი ვალდებულებების კლების კომპონენტის მაჩვენებელი, 2020 წელს აღნიშნული კომპონენტის შესრულებამ 948.6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2021 წელს - 2,747.8 მლნ ლარი, 1,799.2 მლნ ლარით (189.7%-ით) მეტი. აღნიშნული მატება დაკავშირებულია 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ევრობონდების დაფარვასთან³⁷.

ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დეტალური ანალიზი დოკუმენტის შესაბამის თავებშია წარმოდგენილი, ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მიმოხილვისას საინტერესოა ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების ანალიზი.

2020 წელს სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეულმა გადასახდელებმა შეადგინა **1,404.7 მლნ ლარი**, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 143.4 მლნ ლარი. 2021 წლის მაჩვენებელი 2020 წლის მონაცემს (1,228.7 მლნ ლარი) 176.0 მლნ ლარით (14.3%-ით) აღემატება. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართა 50.6 მლნ ლარი (2021 წელთან შედარებით 92.8 მლნ ლარით ნაკლები), შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრების გარდა 2021 წლისთვის მატება 83.1 მლნ ლარს შეადგენს.


³⁷ 2021 წლის აპრილში 1,706.7 მლნ ლარი მიიმართა 2011 წელს გამოშვებული ევრობონდების დასაფარად.

	2020 წელს სსიპების/ა(ა)იპების გადასახდელები	2021 წელს სსიპების/ა(ა)იპების გადასახდელები	2020 წლის გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების გარეშე	2021 წლის გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების გარეშე	სხვაობა (2021 წელი / 2020 წელი)	
					გრანტების რაოდენობით	გრანტების გარეშე
გადასახდელები	1,228.7	1,404.7	1,178.1	1,261.2	176.0	83.1
ხარჯები	1,033.7	1,219.1	983.1	1,075.7	185.4	92.6
შრომის ანაზღაურება	404.4	443.5	404.4	443.5	39.1	39.1
საქონელი და მომსახურება	395.1	489.9	395.1	489.9	94.8	94.8
პროცენტი	3.1	10.3	3.1	10.3	7.2	7.2
სუბსიდიები	14.3	8.3	14.3	8.3	-6.0	-6.0
გრანტები	51.6	148.7	1.0	5.3	97.1	4.2
სოციალური უზრუნველყოფა	11.2	12.4	11.2	12.4	1.2	1.2
სხვა ხარჯები	154.0	106.0	154.0	106.0	-48.0	-48.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	129.6	170.0	129.6	170.0	40.4	40.4
ფინანსური აქტივების ზრდა	60.9	10.0	60.9	10.0	-50.9	-50.9
ვალდებულებების კლება	4.6	5.6	4.6	5.6	1.0	1.0
საშინაო	4.6	5.6	4.6	5.6	1.0	1.0
საგარეო	-	-	-	-	-	-

ცხრილი 22: ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელები 2020-2021 წლებში (მლნ ლარი).

2021 წელს სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების დიდი წილი (86.8%) მოდის ხარჯებზე, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მოდის მთლიანი გადასახდელების 12.1%. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, 2021 წლის გადასახდელების 71.7% ხარჯებზე, ხოლო 12.8% არაფინანსური აქტივების ზრდაზე მოდის.

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების საკუთარი სახსრების გადასახდელების სტრუქტურა



დიაგრამა 60: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების საკუთარი სახსრების გადასახდელების სტრუქტურა (%)

2021 წელს ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში **ხარჯებმა** 1,219.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 185.4 მლნ ლარით აღემატება. 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, გაზრდილია შრომის ანაზღაურების დაფინანსება 39.1 მლნ ლარით, საქონელი და მომსახურება - 94.8 მლნ ლარით, პროცენტი 7.2 მლნ ლარით, გრანტები - 97.1 მლნ ლარით (ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი გრანტების ზრდის ხარჯზე) და სოციალური უზრუნველყოფა - 1.2 მლნ ლარით. რაც შეეხება შემცირებებს, 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია სხვა ხარჯების დაფინანსება 48.0 მლნ ლარით და სუბსიდიები - 6.0 მლნ ლარით.

რაც შეეხება სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში 2021 წელს გაწეული ხარჯების სტრუქტურას, ძირითადი წილი გადანაწილებულია „შრომის ანაზღაურებისა“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლებზე, შესაბამისად 36.4% და 40.2%. 2020 წელს ხარჯების მსგავსი გადანაწილება იყო აღნიშნულ მუხლებზე და შესაბამისად შეადგენდა 39.1%-ს და 38.2%-ს.

2021 წელს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულმა გადასახდელებმა 170.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2020 წლის მაჩვენებელს 40.4 მლნ ლარით აღემატება. 2021 წელს

აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები ძირითადად მოდის შემდეგ პროგრამებზე: „უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი - 32 04)“ – 48.3 მლნ ლარი; „სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი - 30 07)“ – 27.3 მლნ ლარი; „სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი (პროგრამული კოდი - 42 00)“ – 22.8 მლნ ლარი; „ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი - 30 03)“ – 7.2 მლნ ლარი; „სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (პროგრამული კოდი - 29 07)“ – 6.9 მლნ ლარი; „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03)“ – 6.7 მლნ ლარი; „საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი - 24 08)“ – 5.7 მლნ ლარი; „პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი - 32 03)“ – 5.1 მლნ ლარი;

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლის შესრულებამ, 2021 წელს, 10.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 50.9 მლნ ლარით ნაკლებია 2020 წლის ანალოგიურ მარგენებელზე. 2021 წლის შესრულება სრულად მოდის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამაზე „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03)“.

რაც შეეხება მეოთხე კომპონენტს, **ვალდებულებების კლებას**, 2020 წელს ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში ვალდებულებების კლების მარგენებელმა 5.6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 3.9 მლნ ლარი „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის (პროგრამული კოდი - 25 03)“ პროგრამაზე მოდის, ხოლო 1.6 მლნ ლარი - „სსიპ – საზოგადოებრივ მაუწყებელზე (პროგრამული კოდი 42 00). ვალდებულებების კლების 2021 წლის შესრულების მარგენებელი წინა წლის მონაცემს 1.0 მლნ ლარით აღემატება.


ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების ანალიზისას საინტერესოა ცენტრალური ბიუჯეტის პროგრამული კლასიფიკაციის მიმოხილვა აღნიშნული დაფინანსების წყაროს ფარგლებში. 2021 წელს 32 მხარტავი დაწესებულების გადასახდელების შესრულება მოიცავს ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართულ შემოსავლებს, მათგან 4 მხარტავ დაწესებულებას არ ჰქონია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება და მხოლოდ კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში განიეს გადასახდელები. ესენია:

- სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (პროგრამული კოდი - 58 00) – 7.5 მლნ ლარი;
- სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი" (პროგრამული კოდი - 60 00) – 24.9 მლნ ლარი;
- სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (პროგრამული კოდი - 61 00) – 10.9 მლნ ლარი;
- სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო (პროგრამული კოდი - 62 00) – 0.7 მლნ ლარი;

რაც შეეხება სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების განაწილებას ცენტრალური ბიუჯეტის მხარტავი დაწესებულებების მიხედვით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ მე-7 თავში მითითებული შენიშვნის მიხედვით ცენტრალური ბიუჯეტის ფარგლებში არსებულ სსიპ-ებს/ა(ა)იპ-ებს შორის გადარიცხული სახსრები დაკონსოლიდირებულია „სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების“ სვეტში. აღნიშნულ ანგარიშში ინფორმაცია დაკონსოლიდირებულია აგრეგატული მარგენებლების დონეზე, ხოლო მხარტავი დაწესებულებებისა და პროგრამების დონეზე არ არის კონსოლიდირებული. 2021 წლისთვის სსიპ-ებს/ა(ა)იპ-ებს შორის გადარიცხული სახსრები 38.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც სრულად მოდის „გრანტების“ მუხლით გაწეულ ხარტებზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მხარტავი დაწესებულებების მიხედვით სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების

კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების ჯამური მონაცემი 38.2 მლნ ლარით მეტია ჯამურ კონსოლიდირებულ მაჩვენებელზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.



დიაგრამა 61: 2021 წელს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მთლიანი გადასახდელების 69.1% (996.5 მლნ ლარი) მოდის 4 სამინისტროს მიერ გაწეულ გადასახდელებზე, ესენია: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 384.0 მლნ ლარი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 270.3 მლნ ლარი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - 178.2 მლნ ლარი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 164.0 მლნ ლარი. 2020 წლისთვის აღნიშნული გადანაწილებაში მეოთხე პოზიციას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იკავებს ნაცვლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსი და სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მთლიანი გადასახდელების 70.0% მოდის ზემოაღნიშნულ სამინისტროებზე.

რაც შეეხება პროგრამებს, რომლებზეც 2021 წელს მიიმართა სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები, ცენტრალური ბიუჯეტის პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ასეთი 66 პროგრამა არის განსაზღვრული, საიდანაც 9 პროგრამას არ აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. ზემოაღნიშნული 66 პროგრამიდან 8 პროგრამაზე მიიმართა სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების 62.6% - 903.6 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020-2021 წლებში ზემოაღნიშნული 8 პროგრამის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების შესახებ ინფორმაცია.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	2020 წელს მიმართული სახსრები			2021 წელს მიმართული სახსრები			სხვაობა (2021 / 2020)		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტი	კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტი	კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტი	კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები
32 04	უმაღლესი განათლება	481.3	147.0	334.3	505.8	165.4	340.3	24.5	18.4	6.1
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება	143.4	10.0	133.4	150.6	10.8	139.8	7.2	0.8	6.4
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადახდელთა მომსახურების გაუმჯობესება	151.2	31.8	119.4	159.8	34.4	125.4	8.6	2.6	6.0
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა	80.3	-	80.3	108.1	-	108.1	27.8	0.0	27.8
26 08	მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა	48.9	7.3	41.6	57.6	5.3	52.2	8.6	-2.0	10.6
26 10	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	45.2	7.5	37.7	53.0	1.2	51.8	7.8	-6.3	14.1
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	124.9	76.8	48.1	109.8	64.0	45.8	-15.1	-12.8	-2.3
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	316.0	279.3	36.7	379.6	339.5	40.1	63.6	60.2	3.5
სულ ჯამურად		1,391.2	559.8	831.4	1,524.2	620.6	903.6	133.0	60.9	72.2

ცხრილი 23: 2020-2021 წლებში ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში განეული გადასახდელები ძირითადი პროგრამების მიხედვით (მლნ ლარი).

როგორც ცხრილშია წარმოდგენილი, აღნიშნული პროგრამების დაფინანსების დიდი წილი მოდის კანონმდებლობით ნებადართულ შემოსავლებზე. 2021 წელს ჯამურად მიმართული სახსრების 59.3% მოდის კანონმდებლობით ნებადართულ შემოსავლებზე, ხოლო 40.7% სახელმწიფო ბიუჯეტზე. მსგავსი სურათია 2020 წლისთვისაც და აღნიშნულ 8 პროგრამაზე ჯამურად განეული გადასახდელები გადანაწილებულია შესაბამისად 59.8%-ის და 40.2%-ის ოდენობით.

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

	2020 ფაქტი	2021 საწყისი გეგმა	2021 ივლისის გეგმა*	2021 წლიური გეგმა	2021 დაგეგმვა	2021 ფაქტი	2021 ფაქტი/ 2021 დაგეგმვა %	2021 ფაქტი / 2021 წლიური გეგმა		2021 ფაქტი/ 2021 ივლისის გეგმა %	2021 ფაქტი/ 2021 საწყისი გეგმა %	2021 ფაქტი / 2020 ფაქტი	
								სხვაობა	%			სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	18,042.3	16,758.1	17,933.0	18,099.1	18,099.1	18,377.7	101.5%	278.5	101.5%	102.5%	109.7%	335.4	1.9%
შემოსავლები	10,490.4	11,179.2	12,249.0	12,549.0	12,549.0	12,750.3	101.6%	201.2	101.6%	104.1%	114.1%	2,259.9	21.5%
გადასახადები	9,364.8	10,342.3	11,062.6	11,362.6	11,362.6	11,439.5	100.7%	76.9	100.7%	103.4%	110.6%	2,074.7	22.2%
საშემოსავლო გადასახადი	3,079.8	3,315.0	3,405.0	3,500.0	3,500.0	3,491.5	99.8%	-8.5	99.8%	102.5%	105.3%	411.7	13.4%
მოგების გადასახადი	919.4	951.0	951.0	1,001.0	1,001.0	1,015.3	101.4%	14.3	101.4%	106.8%	106.8%	95.9	10.4%
დღგ	3,918.2	4,347.3	4,746.6	4,807.4	4,807.4	4,883.9	101.6%	76.6	101.6%	102.9%	112.3%	965.8	24.6%
აქციზი	1,619.4	1,582.0	1,800.0	1,825.0	1,825.0	1,868.8	102.4%	43.8	102.4%	103.8%	118.1%	249.4	15.4%
იმპორტის გადასახადი	74.4	77.0	80.0	81.3	81.3	86.4	106.3%	5.1	106.3%	108.0%	112.2%	12.0	16.1%
სხვა გადასახადები	-246.4	70.0	80.0	148.0	148.0	93.6	63.2%	-54.4	63.2%	117.0%	133.7%	340.0	-138.0%
გრანტები	459.6	286.9	386.4	386.4	386.4	487.1	126.0%	100.7	126.0%	126.0%	169.8%	27.6	6.0%
სხვა შემოსავლები	666.0	550.0	800.0	800.0	800.0	823.7	103.0%	23.7	103.0%	103.0%	149.8%	157.6	23.7%
არაფინანსური აქტივების კლება	98.2	150.0	350.0	350.0	350.0	212.6	60.7%	-137.4	60.7%	60.7%	141.7%	114.4	116.6%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	163.4	150.0	210.0	210.0	210.0	163.3	77.8%	-46.7	77.8%	77.8%	108.9%	-0.1	0.0%
ვალდებულებების ზრდა	7,290.4	5,278.9	5,124.0	4,990.1	4,990.1	5,251.5	105.2%	261.5	105.2%	102.5%	99.5%	-2,038.9	-28.0%
